# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ფლიდობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 17 მაისი, 2014 წელი.

№96 (7477)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


ერისა და ბერის გასაგონად

# ოჯახის სიწმინდე და სიმტკიცე სახელმწიფოს სიძლიერის საფუძველია



**საპატრიარქო მორწმუნეებს მოუწოდებს, დღევანდელი მსვლელობები ლოცვითი და მშვიდობიანი იყოს.**

აღნიშნულთან დაკავშირებით საპატრიარქოში სპეციალური განცხადება გაკეთდა. საპატრიარქოს განცხადების ტექსტი ჟურნალისტებს დეკანოზმა დავით შარაშენიძემ გააცნო.

**— როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით 17 მაისი გამოცხადდა ოჯახის სიწმინდისა და მშობლების დღედ. ამ დღეს საქართველოს ყველა მოქმედ ტაძარში 12:00 საათზე აღევლინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პარაკლისი, რათა დედამ ღვთისამ თავისი მფარველი კალთა გადააფაროს ჩვენს ოჯახებს. შემდეგ მოხდება ეკლესიების მიმდებარე ტერიტორიების და ქუჩების კურთხევა. წმინდა სამების საკათედრო ტაძარში პარაკლისს გადაიხდის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. 12:00 საათიდან დღის ბოლომდე იქ დაბრძანებული იქნება ჩვენი ერის განსაკუთრებული სიწმინდეები — ღვთისმშობლის მიერ ბოძებული წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი და წმინდა დავით გარეჯელის მადლის ქვა, რათა, როგორც მთელ ოჯახებს, ისე ცალკეულ ადამიანებს მიეცეთ შესაძლებლობა, ემთხვიონ მათ.**

**მისი უწმინდესობის კურთხევაა, ამ დღის აღსანიშნავად ტრადიციად დადგინდეს, რომ მშობლებმა მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატებით დალოცონ თავიანთი შვილები. თითოეული ცალ-ცალკე, ხოლო შვილებმა მშობლებს მიართვან საჩუქრები და ტაძარში დაუნთონ სანთლები. მისი უწმინდესობა კი, როგორც ერის სულიერი მამა, პარაკლისის შემდეგ წაიკითხავს სპეციალურ ლოცვას და დალოცავს ყველა მორწმუნეს. იგივეს აღასრულებენ მღვდელმსახურები თავიანთ ეპარქიებში.**

**ოჯახის სიწმინდე და სიმტკიცე სახელმწიფოს სიძლიერის საფუძველია. ოჯახის სიწმინდის ხელყოფა და არაბუნებრივი და გაუკუღმართებული ურთიერთობების ბუნებრივ მდგომარეობად გამოცხადება საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის, განურჩევლად აღმსარებლობისა, სრულიად მიუღებელია. რა თქმა უნდა, იგი მიუღებელია მართლმადიდებელი ეკლესიისთვისაც, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეკლესია ებრძვის თუნდაც ამ ცოდვით დაზიანებულ ადამიანს. პირიქით, იგი ზრუნავს მისთვის და ილვწის მისი გამოსწორებისთვის. ეკლესია ამხელს და ებრძვის თავად ცოდვას, მის საჯარო პროპაგანდას, რადგან ასეთი დამოკიდებულება მეტად განარისხებს უფალს და ღვთის დიდ სასჯელს იწვევს, ამიტომაც ცდილობს ჩვენი ეკლესია, დაიცვას ერი უზნეობის დაკანონებისა და სულიერი ძალადობისგან.**

**როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მორწმუნეთა გარკვეული ჯგუფები და ზოგადად, საზოგადოების ნაწილი ამ დღესთან დაკავშირებით აპირებს ქუჩაში მსვლელობებს. საქართველოს საპატრიარქო პატივისცემით მიმართავს მათ და მოუწოდებს, რომ მსვლელობები იყოს მხოლოდ და მხოლოდ ლოცვითი და მშვიდობიანი, რადგან ეკლესია იყო და არის წინააღმდეგი ყოველგვარი ძალადობის,** — აცხადებენ საპატრიარქოში.

## „თვითგამორკვევა" ლაღად დააბიჯებს მსოფლიოში



3

## „WEEKEND"-ი ნაციონალთა რეანიმაციას განაგრძობს

2

## ცვლილება საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსების სისტემაში

4



## საარსებო მინიმუმი

4




6-7

ახლახან გამოიცა ომარ მარგველაშვილის მოგონებათა მეორე წიგნი, პირველივით ცინცხალი და ცხოველმყოფელი...

# რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ინფორმაცია

## მინისტრთა კაბინეტის წევრებისთვის მაღალი პრემიების გაცემა მიუღებელია



**ქვეყანაში** არსებული სოციალური ფონის გათვალისწინებით, მიუღებელია მაღალი პრემიების გაცემა, — ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ განაცხადა.

რაც შეეხება სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრ სოზარ სუბარს, კალაძის განცხადებით, ის არის კეთილსინდისიერი ადამიანი, რომელმაც შეძლო სისტემაში არსებული პრობლემების მოგვარება.

— ჩვენ გვახსოვს, ორი წლის წინათ რა ხდებოდა ციხეებში და როგორ უსწორდებოდნენ იქ ადამიანებს. თვითონ პრემიებს რაც შეეხება, ჩემთვის პირადად მიუღებელია ამხელა პრემიები. ეს სწორი არ არის იმ სოციალურ ფონზე, რა სოციალური ფონიც დღეს ქვეყანაშია, — განაცხადა კახა კალაძემ.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციებზე კომენტარი გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემაც. მისი თქმით, მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, რომ სოზარ სუბარმა ჩაიბარა ერთ-ერთი ყველაზე რთული სფერო და მიაღწია ერთ-ერთ ყველაზე დიდ წარმატებას.

## სახელმწიფო უწყებებში, შესაძლოა, პრემიების ზედა ზღვარი დაწესდეს

**სახელმწიფო** უწყებებში პრემიების სისტემა უნიფიცირდება, — ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გაცემული მაღალი პრემიების კომენტირებისას განაცხადა.

„პრემიებთან მიმართებით უკვე დაწყებულია მუშაობა, მაგრამ არა ამ შემთხვევის გამო. ვმუშაობთ, რომ შემოღებულ იქნას უნიფიცირებული პრემიების სისტემა, სადაც ჩადებული იქნება ლოგიკა — მაქსიმალური ზედა ზღვარი. იმედი მაქვს, რომ ამ პროცედურას უკვე მალე მივიღებთ. ეს იქნება იმის ანალოგი, რაც იყო ადრე, ავტომანქანების შემთხვევაში, — განაცხადა სერგეენკომ და იმედი გამოთქვა, რომ პრემიების გაცემის მოქმედი სისტემა მალე დასრულდება.

ინტერპრესი

სიტყვაში შეფუთული ნაღმი

# „WEEKEND"-ი ნაციონალთა რეანიმაციას განაგრძობს

**ქვეყნად მუდმივი რომ არაფერია, ეს დღეს უკვე პირველკლასელებმაც იციან. ცხადია, მუდმივი ვერ იქნებოდა ვერც ნაციონალთა პარპაში, მიუხედავად იმ თავგადაკლული მხარდაჭერისა, რასაც ამ დანაშაულებრივი პარტიის მიმართ ამავე პარტიის წყალობით ქერის ორმოში მყოფნი იჩენდნენ, თქვენ წარმოიდგინეთ, დღესაც კიდევ უფრო მეტი ძალისხმევით იჩენენ იმის იმედით, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც ისევ თავიანთ დროშას ააფრიალებენ.**

გაზეთი „24 საათი" რაც იყო და ვისიც იყო, ყველამ კარგად ვიცით. ნაციონალების ამ ნამდვილად უნიჭო რუპორს მეორე „ლულაც" ჰქონდა (და აქვს) რატომღაც სლოგანინგლისურენოვანი (ჩანს, დასავლური ორიენტაციის ხაზგასასმელად!) სახელწოდებით („WEEKEND") გამოდიოდა და გამოდის. პირველს ქმარი რედაქტორობს, მეორეს — ცოლი.

ამჯერად ქმრის გაზეთს თავი დავანებოთ. ცოლის ყოველკვირეულს მივხედოთ — „WEEKEND"-ს, ანუ ქართულად „კვირის ბოლოს", დროს პარასკევსაღამოდან ორშაბათამდე (რომელსაც ჩვეულებრივ ქალაქგარეთ ატარებენ).

აი, ამ „კვირის ბოლოს" თავისი მუდმივი ორი ავტორი ჰყავდა (და ჰყავს). ერთი უთუოდ ნიჭიერი ლიტერატორი ნოდარ ლადარიაა, მეორე — დიდად ნიჭიერი მხატვრის კოკა იგნატოვის ქალიშვილი ქეთევან (ადრე ქეთუსიად მოიხსენიებდა თავს) იგნატოვა, რომელიც, როგორც მხარე, ვაიწაიპუბლიცისტებს და, როგორც



იტყვიან, პოლიტიკურ საფლავში ჩასდევს ხალხის თვალში სამარცხვინოდ გაკოტრებულ სააკაშვილის თავლაფდასხმულ ლაშქარს.

მოკლედ, აქ იმის თქმა გვინდა, რომ, დიდად სამწუხაროდ, ბევრისთვის (უპირველესად, ნაციონალებისთვის!) სახელმწიფო სამშობლო ვერ გახდა და ნაციონალთა ვაიმხარდამჭერნიც სწორედ ამიტომ არა სამშობლოს კეთილდღეობაზე, არამედ ამ ერთი პარტიის, ნაციონალების, ჟამკეთილობაზე ფიქრობენ, რადგან თავიანთი ამქვეყნად კარგად ყოფნა (ანუ ფუფუნება და განცხრომა) უამპარტიოდ ვერ წარმოუდგენიათ.

ამ ეგრეთ წოდებულ ნაციონალთა ამაო მხარდამჭერთა ამჟამინდელი დევიზია: რაც შეიძლება უშვერად ვლანძღოთ „ქართული ოცნება", რომელიც ნაციონალების ოფლითა და არაადამიანური ჯაფით (სისხლს განგებ არ ახსენებენ!) აშენებულ ქვეყანას თან განგებ და თან უცოდინარობით ანგრევენო.

ქ.იგნატოვას აზრით, მაგალითად, რემონტი აუცილებელია ახლავე, ამ წუთას, თორემ ხვალ გვიან იქნება. კომენტარს თავს ავარიდებთ. მოვუსმინოთ თვითონ **ქეთევანს, იგნატოვას:**

**„წლების მანძილზე აშენებულ, ფაქტიურად ნოლიდან აწყობილ, ამუშავებულ და წარმატებამიღწეულ სისტემებს, ტენდენციებს, მიმართულებებს ბზარები უჩნდება! პრორუსულ-პროპუტინური ტენდენციები სულ უფრო მკაფიო ხდება. მეხუთე კოლონა აქტიურდება და დაუფარავად, ხშირ შემთხვევაში კი, ცალკეულ ხელისუფალთა ხელშეწყობით მუშაობს. წლების მანძილზე მიჩუმებულ-შენიღბულმა ყოფილმა ჩეკისტებმა, კომუნისტებმა, კომკავშირელებმა ნიღბები მოიხსნეს და ხმა თამამად აიმაღლეს, საკმაოდ რთულად მოპოვებულ ავტორიტეტს, პატივისცემას, ქართული პოლიცია ნელ-ნელა კარგავს, თმობს.**

**სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა სისტემაში, სხვადასხვა მიზნით ქრთამის სახით მიცემული ფული, ნელ-ნელა ძალას იკრებს, ასე მივიწყებულ მის უძლეველობას იბრუნებს. სახელმწიფო საქმეებში, სახელმწიფო მართვაში ეკლესიის ჩარევა, კიდევ უფრო აშკარა და უტაქტო ხდება. წინასაარჩევნო დაპირებების, ხმამაღალი განაცხადების, ბესელიების წიწინის მიუხედავად, თვალთვალი, პირადი საუბრების მოსმენა, ფარული კამერებით გადაღება, არამცთუ არ შეწყდა, არამედ კიდევ უფრო გახშირდა და განურჩევლად მოედო საზოგადოების ყველა ფენას. უსმენენ წამყვან ჟურნალისტებს, პარლამენტარებს, მინისტრებს... ამხელენ, უმტკიცებენ, ფაქტებს უდებენ და მაინც უსმენენ, იღებენ და რაც მთავარია, გახმაურების, სკანდალის შემთხვევაში, თავად გადაღებულ-მოსმენილებს და, რა თქმა უნდა, ორი წლის წინ გადარჩეულ ხელისუფებას, აბა, მაგის გარეშე როგორ იქნება, დაადანაშაულებენ..."**

ახლა მეორე პუბლიცისტს, პატივცემულ **ნოდარ ლადარიას** მივცეთ სიტყვა. საქართველოში თურმე იმის გარდა, არცვის არაფერი არ გვესმის, არც ეკლესიას და არც ხალხს (ეკლესიას, როგორც უკვე ნახეთ, იგნატოვას ქალიც „ნაზად" კბენს!)

ესეც **ნოდარ ლადარიას** ნააზრევი:

**„1825 წელს უბედურ რუს ჯარისკაცებს ეგონათ, რომ კონსტიტუცია ქალის სახელია.**




**2014 წელს უმეცარ ქართველ მორწმუნეებს ჰგონიათ, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება ერთსქესიანი ქორწინების ლეგიტიმაციის ტოლფასია.**

**ახლა კიდევ ის მოიფიქრეს, რა ჰქვია? — 17 მაისი გამოცხადდეს ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღედ. ვერაფერს იტყვი, ტრადიციაში სხედან. ოდესღაც ასე აქრისტიანებდნენ წარმართულ დღესასწაულებსა და წარმართულ ღვთაებებს, ტაძრებს. თუმცა, სიტყვების მნიშვნელობა კვლავაც არამყარი რჩება".**

როგორც ვთქვით, ჩვენ კომენტარს არ ვაკეთებთ. ძვირფასო მკითხველო, რომელსაც კარგად მოგეხსენება ნაციონალთა და, კერძოდ, სააკაშვილის ბოლმიანი „სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის" ათწლიანი პერიოდი, იმედია, შენ თავად გამოიტან სწორ დასკვნას.

ერთს კი შეგეკითხებით: როგორ ფიქრობთ, ვინ ცდილობს დღევანდელი საქართველოსთვის ბზარების გაჩენას? ნუთუ ისევ მარტო სააკაშვილის მხარდამჭერთ ესმით, რა გზით უნდა იაროს საქართველომ? დროზე უნდა მივხედოთ და გავაუვნებელვყოთ თუ არა სიტყვაში შეფარული ნაღმი, რომელსაც ასე ჯიუტად „აფეთქებს" თითქმის ყოველ თავის ნომერში ეს ეგრეთ წოდებული WEEKEND-ი.

პირდაპირ საკვირველია, რატომ არ გვინდა, რომ ყველამ ერთმანეთის მხარდამხარ ვაშენოთ მართლაც თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო?!



ნუთუ ყველანი ამ ჩვენი ბედკრული საქართველოს შვილები არა ვართ?

პატივცემულო ქეთევან, პატივცემულო ნოდარ, შვილები კი არა, ალბათ, ბოროტი გერებიც კი არ იკადრებენ უკადრებელს საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ!

**გურამ წიკლაური**

ვითარება

# შესუსტდება და შეწყდება დაპირისპირება?

## ანტიმონოპოლისტური მოძრაობა გადაზიდვების ბიზნესში

**ფოსტისა და ტვირთების გადაზიდვის სფეროში დაპირისპირება ისევ პიკზეა. პირველ შემთხვევაში კერძო კომპანიები კანონმდებლებს უპირისპირდებიან, ხოლო მეორე შემთხვევაში — ფოთის ნავსადგურს. ჯერჯერობით არც ერთი საკითხი შეთანხმების გზით არ გადაჭრილა.**

საფოსტო სფეროში მოქმედი ოპერატორები „საფოსტო კავშირის შესახებ" პროექტის სამუშაო ვარიანტს აპროტესტებენ. გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე პროექტის სამუშაო ვარიანტი განიხილეს, რომელსაც საფოსტო სფეროში მოქმედი ოპერატორების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

როგორც კერძო გადამზიდავები აცხადებდნენ, ცვლილება, რომელიც კანონში უნდა განხორციელდეს, პრობლემას უქმნის კერძო ოპერატორებს და „საქართველოს ფოსტას" მონოპოლისტის სტატუსს ანიჭებს.

„ის ცვლილებები, რომელიც კანონში უნდა შევიდეს ევროპულ სტანდარტებს არ შეესაბამება. 1994 წლიდან საქართველოს აქვს ვალდებულება, განახორციელოს უნივერსალური გადაზიდვები, რადგან ჩვენი ქვეყანა მსოფლიო სავაჭრო კავშირის წევრია.

**ამ კანონპროექტით, რომელიც ჯერ მხოლოდ განიხილება, პრობლემები ექნებათ კერძო ოპერატორებს. მაგალითად, ჩვენ ვაპირებთ, ხელშეკრულება გავაფორმოთ კომპანიასთან, რომელიც მზად არის, ამ საქმეში 30 მილიონ ლარზე მეტი თანხა ჩადოს, თუმცა, ამ კანონის მიღების შემდეგ, ის თავს შეიკავებს საქართველოსთან თანამშრომლობაზე",** — აცხადებს კომპანია „ტენეტეს" წარმომადგენელი ნინო მენთეშაშვილი.

კომიტეტის სხდომის დასრულების შემდეგ, ვითარება ცოტათი შეიცვალა. ეკონომიკის მინისტრის მოადგილის ნათია მიქელაძის განცხადებით, კანონპროექტი ამჟამად მზადდება. ცვლილების მიხედვით ახალი რეგულაციები ამოქმედდება, რომელიც ევროკავშირის მოთხოვნებს შეესატყვისება.



**დეპუტატმა ზურაბ ტყემალაძემ კი კერძო გადამზიდავები დაამშვიდა: „გაურკვევლობაში იყვნენ ზოგიერთები, რომლებსაც ეგონათ, რომ უნივერსალური მომსახურების უფლება ჰქონდა მხოლოდ ფოსტას. გაირკვა, რომ ეს ასე არ არის და ჩვენ დავპირდით კიდეც მათ, რომ ფოსტას არ ექნება ამ სფეროში ექსკლუზივი. თუკი „საქართველოს ფოსტა" ეროვნული ოპერატორი გახდა, ექსკლუზივი ექნება მხოლოდ და მხოლოდ უნივერსალური მომსახურების სარეზერვო ნაწილში",** — განაცხადა ზურაბ ტყემალაძემ.

კერძო კომპანიების წარმომადგენლები ჯერ მაინც ფრთხილად ეკიდებიან არსებულ მდგომარეობას. **„შეიქმნება სამუშაო ჯგუფი და თუ ისეთ მონაწილეობას მიიღებენ სხვა გადამზიდავები, როგორსაც „საქართველოს ფოსტა", მაშინ ყველაფერი კარგად იქნება.**

**გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩამოდის ევროკავშირის ექსპერტი. კარგი იქნება თუ კანონმდებლობა შემუშავდება მასთან ერთად და მაშინ გაუგებარი აღარაფერი იქნება",** — განაცხადა კომპანია „დისიელის" წარმომადგენელმა თამთა პაპელაშვილმა.

არანაკლებ დაძაბული ვითარებაა ტვირთების გადამზიდავებსა და ფოთის პორტის მმართველი „ეიპიემ ტერმინალს" შორის. გადამზიდავი კომპანია „ისთგეით ჯგუფის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ირაკლი იაშვილის თქმით, მსუბუქი ავტომობილების განბაჟების კუთხით „ეიპიემი" კვლავ მონოპოლისტია.

არსებობს კონფიდენციალური ხელშეკრულება, რომელიც წინა ხელისუფლებამ არაბებთან 2011 წელს გააფორმა, რომლის თანახმად არაბულმა მხარემ აიღო ვალდებულება, ფოთში აეშენებინა გაფორმების ეკონომიკური ზონა, რის სანაცვლოდაც მთავრობამ მათ მსუბუქი ავტომობილების ბაზარი ექსკლუზიურად 5 წლის ვადით გადასცა. წინა ხელისუფლების დროს შემდგარი გარიგების ვადა 2015 წლის აპრილში იწურება, ხოლო ახალი მთავრობა ხელშეკრულებას ვერ აუქმებს.

იაშვილის ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილების განბაჟების ექსკლუზიური უფლების გამო, სამსახურიდან 135 ადამიანის გათავისუფლება მოუწიათ, საერთო ჯამში კი ფოთის ტერმინალებიდან 800 ადამიანი გაუშვეს.

**ბექა დანელია**

# ბოთლიდან ამოსული ჯინი

**უკრაინის მოვლენებმა უსერიოზულესი რყევა გამოიწვია მსოფლიო პოლიტიკაში. მართალია, ეს მოვლენა გაცილებით ადრე დაიწყო, მაგრამ საქართველოდან საკმაო მანძილით დაშორებულ კოსოვოში მომხდარი ამბავი აქ არაჯეროვნად აღიქვეს. მაშინ იყო ქართული პოლიტიკისა და პოლიტოლოგიის განცხადებები, ერთობ უმარილო, რეალობის გრძნობას მოკლებული და რაც მთავარია, ზედაპირული — ქართული პოლიტიკა — ექსპერტობისთვის დამახასიათებელი.**

ვაშინგტონის იმჟამინდელმა ადმინისტრაციამ ბევრი იღონა იუგოსლავიის დასაშლელად, კოსოვოს ბელგრადისგან ჩამოსაშორებლად. იუგოსლავიის ამბები (ცხადია, გასული საუკუნის 90-იანი წლები მაქვს მხედველობაში), რომ რუსეთის წინააღმდეგ განხორციელებული აქტი იყო, ამას არც ამერიკელი ექსპერტები უარყოფენ.

ვაშინგტონმა, იუგოსლავიის დაშლით, რუსეთს ხელიდან გამოაცალა ევროპაში არსებული დასაყრდენი. მაშინდელი რუსეთი, საბჭოთა კავშირის დაშლით დასუსტებული, იარებს იშუშებდა და ამდენად ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ამერიკული პროექტის განხორციელებას. მიუხედავად ამისა, პუტინის რუსეთმა მტკიცედ გამოხატა საკუთარი პოზიცია — კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროპაშიო.

გამოხატა, მაგრამ ყური არავინ შეიბერტყა, მათ შორის არც ვაშინგტონმა და არც ბრიუსელმა.

კოსოვო — უნიკალური მაგალითია და მისი სხვა ქვეყნებზე გავრცელება არ ეგებისო, — ამბობდა ვაშინგტონი. ამბობდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, კარგად იცოდა საკუთარი არგუმენტის სისუსტეები. რა გაეწყობა, პირველი ქვეყნის პროექტი, სხვათა ხელისგრეხით, გავიდა.

კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა არა ერთმა ქვეყანამ.

**თუ კოსოვოს დამოუკიდებლობას აღიარებთ, რა დააშავეს აფხაზეთმა და სამხრეთ-ოსეთმაო? — იყო შეკითხვა კრემლიდან. პასუხი კი ძველებური, უნიათო, არადამაჯერებელი, იმავე ამერიკა-ნატო-ევროკავშირის მხრიდან.**

**უნიათო პასუხმა სხვა რეაქცია გამოიწვია, დაახლოებით ასეთი — თუ კოსოვოსთვის შეიძლება დამოუკიდებლობა, რატომ არ შეიძლება აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთისთვის? ამ შემთხვევაში დასავლურმა განმარტებამ ველარ იმუშავა და ასე და ამრიგად რუსეთმა აღიარა საქართველოს ყოფილი ავტონომიების დამოუკიდებლობა.**

რუსეთის გადაწყვეტილება დასავლეთმა არ გაიზიარა, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა და დღემდე აცხადებს, რომ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. 2008 წლის ცხინვალის ომის შემდეგ მოხდა ეს ყოველივე, დღეს, 2014 წელია, მაგრამ დასავლეთის მიერ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას არაფერი შემატებია.

და ვერც ვერაფერი შეემატება, ვინაიდან თანამედროვე მსოფლიო სხვაგვარად ვითარდება. აშშ-ის მიერ ბოთლიდან ჯინის გამოშვებამ, სერიოზულად იმოქმედა თვითგამორკვევის იდეით შეპყრობილ ქვეყნებზე და დაიწყო ტალღა სახელმწიფოთა დაშლისა, ანუ სეპარატიზმისა.

**გაეროს მთავარ დოკუმენტში აღნიშნული მიძინებული პუნქტი „ერთა თვითგამორკვევა“, რომელიც თავს მოკრძალებულად გრძნობდა, მეორე პუნქტთან - „ტერიტორიული მთლიანობის ურღვეობასთან“ შედარებით, ომს აცხადებს. მიძინებული პუნქტი გამოვიდა საღათას ძილიდან და ისეთი ენერგიით დაიწყო კანონიერი უფლებების - თვითგამორკვევის მოპოვებისთვის ბრძოლა, რომ ტერიტორიული მთლიანობის საკითხს მცირედიც კი არ დაუტოვა.**

უკრაინის დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში ჩატარებულმა რეფერენდუმმა მთელს მსოფლიოს დაანახვა, რომ ქვეყნების დაქუცმაცების პროცესი ახალ ფაზაში შედის და ყველა სუსტ ქვეყანას შეეხება. პოლიტიკური თვალსაზრისით, უკრაინა უაღრესად სუსტი ქვეყანა აღმოჩნდა. სრულიად თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ქვეყანა, მიუხედავად დიდი მოსახლეობისა, წიაღისეული სიმდიდრისა და საბჭოური წარმატებული მრეწველობა-სოფლის მეურნეობისა, უსუსურია..

პოლიტიკური თვალსაზრისით, უკრაინამ ვერაფერი გააკეთა, გარდა მოჩვენებითი დემოკრატიისა და რადაში სისტემატური ხელჩართული ჩხუბისა. არადა, რუსი ლიბერალები შურით შეჰყურებდნენ უკრაინას — აი, სად არის ნამდვილი დემოკრატიაო — ხმამაღალი განცხადებით.

დამოუკიდებლობის წლებში, რასაც ამ ქვეყანამ მიაღწია, ქვეყნის დოვლათის ძარცვა და მილიარდერთა კორპუსის შექმნაა. დედამიწაზე იშვიათად მოიძებნება ქვეყანა ესოდენ დაბეჩავებული, თუ საქართველოს არ მივიღებთ მხედველობაში, ვიდრე უკრაინა. უღარიბესი ქვეყანა და მრავლობით რიცხვში მყოფი უკრაინელი მილიარდერები.

პოლიტიკურად სუსტი ქვეყანა უმალ მოექცა აშშ-ის ყურადღების ცენტრში. დიდი ფული ჩადო ოფიციალურმა ვაშინგტონმა უკრაინელთა გადასაბირებლად, რუსეთის წინააღმდეგ ასამხედრებლად. ნაწილობრივ გამოუვიდათ, მაგრამ არა სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში. იქაური მოსახლეობა კიევის ამჟამინდელ მთავრობაზე საძულველად აშშ-ს მიიჩნევს.

**აშშ დიდი ქვეყანაა, თანაც მსოფლიოში პირველი, როგორც ეკონომიკით, ისე სამხედრო თვალსაზრისით. რაც შეეხება ჯაშუშურ საქმიანობას, მას ბადალი არ ჰყავს და მიუხედავად ამისა, ვერ გათვალა უკრაინის მოვლენები. ვერ გათვალა ის, რომ ფაშისტურად მოაზროვნე უკრაინელებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა და არა მარტო ფინანსურის, უკუშედეგს გამოიწვევს.**

მართალია აშშ-მა, უკრაინის თავსატკივრით, უსერიოზულესი პრობლემები შეუქმნა რუსეთს, მაგრამ მან ვერ მიიღო მთლიანი ტორტი, უნიტარული უკრაინის სახით. დიდი-დიდი რასაც შექმნილი ვითარება მოუტანს მას, დასავლეთი და ცენტრალური უკრაინაა.

აშშ-მა, მზაკვრული პოლიტიკის შედეგად, ააღორძინა უკრაინული ფაშიზმი, რამაც თავისთავად გამოიწვია რუსული ნაციონალიზმის გამოღვიძება. გამოღვიძებული რუსი, შიშველი ხელებით ტანკს ებრძვის. მართალია, ხშირად მარცხდება, მაგრამ რუსული პატრიოტიზმი, მტრისადმი შეუპოვარი ომი, დღითი დღე იზრდება.

კიევის დროებითი ხელისუფლება და მის ზურგს უკან მდგომი ამერიკა-ევროპა დონეცკ-ლუგანსკის რეფერენდუმს არალეგიტიმურად მიიჩნევენ. ეს, რომ ასე იქნებოდა, წინასწარ იყო ცნობილი, მაგრამ რეფერენდუმი სანთელ-საკმეველს არ დაკარგავს. აკი არ დაკარგა. დასავლეთის პრესაში უკვე გამოჩნდა სტატიები ამ რეფერენდუმთან დაკავშირებით, გაცილებით ობიექტური, ვიდრე მანამდელი.

**სიმართლე არ იმალება, ხალხი ხვდება, რომ ოდესის მოვლენები თვით ოდესელებმა კი არ მოუწყვეს საკუთარ თავს, როგორც ამას ამერიკელები ამბობდნენ, არამედ კიევის ხელისუფლების მიერ გაგზავნილმა „მარჯვენა სექტორის“ ბანდიტებმა.**

როგორც ჩანს, დონეცკი და ლუგანსკი ბოლო არ იქნება. ახლადარჩეულმა უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ორბანმა ოფიციალურად მოითხოვა უკრაინაში მცხოვრები 200 ათასი უნგრელისთვის ავტონომია. მეორე მსოფლიო ომამდე ეს ტერიტორია უნგრეთს ეკუთვნოდა.

უკრაინის დაქუცმაცების პროცესი დაიწყო და მალე ეს ქვეყანა სულ სხვა საზღვრებში იქნება. ასე იცის პოლიტიკის არქონამ, სხვისმა მოიმედეობამ, ამ შემთხვევაში აშშ-ის. აშშ-მა,

## „თვითგამორკვევა“ ლაღად დააბიჯებს მსოფლიოში



ნებსით თუ უნებლიეთ, ხელი შეუწყვეს უკრაინის დაშლას და ეს ფაქტია. დაშლილი უკრაინა — რუსეთ-ევროკავშირს შორის გაჩხერილი, მძიმე ასატანი იქნება ორივესთვის. აშშ-ს რა უჭირს, ის შორსაა.

**უკრაინით, ვაშინგტონმა ისეთი მუდმივი ცეცხლი გააჩინა ევროპა-რუსეთს შორის, უარესს რომ ვერავინ ინატრებდა. ერთის შეხედვით, თითქოს ვაშინგტონს არ უნდა აწყობდეს ევროპაზე პერმანენტულად გადაკიდებული რუსეთი — ბოლოს და ბოლოს ევროკავშირი ხომ ამერიკის მოკავშირეა? დიახ! მოკავშირეა, მაგრამ ვაშინგტონს რომ არ უყვარს ერთიანი, მძლავრი მოკავშირე? მას დაქუცმაცებული, სუსტი ქვეყნები უფრო იზიდავს. ასეთნი იოლი სამართავია.**

უკრაინის პრობლემა დაიწყო. თუ როდის დამთავრდება, არავინ იცის. მას, არც პრეზიდენტის არჩევა უშველის და არც ფინანსური ინექციები. ლოგინს მიჯაჭვული მომაკვდავი, უნიტარული უკრაინა სულს ღაფავს და ამ საქმეში ამერიკელების წვლილი განუზომელია.

საბჭოთა კავშირის დაშლამ თუ ვინმეზე მომაკვდინებლად იმოქმედა, საქართველო, მოლდოვა, უკრაინაა. პრობლემებია აზერბაიჯან-სომხეთს შორის ყარაბახიდან გამომდინარე. როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირი იყო ის შემაკავშირებელი ძალა, რამაც მრავალი ათეული წლის განმავლობაში უზრუნველყო რესპუბლიკების ტერიტორიული მთლიანობა.

**საბჭოთა კავშირის დროს ხმას ვერავინ დაძრავდა ერთი რესპუბლიკიდან გამოყოფისა და მეორესთან მიერთების თაობაზე. როგორც ამბობენ, იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც აფხაზებმა საქართველოდან გამოყოფა და რუსეთთან შეერთება მოითხოვეს, პასუხად კი მიიღეს - ციმბირში მოხდება შეერთებაო. მართალია, მაშინ ტერიტორიების გაცვლა-გამოცვლა „ზემოდან“ ხდებოდა, მაგრამ „თვითგამორკვევა“ — არა.**

კაცმა რომ თქვას, თუ პიროვნების დისკრიმინაცია მიუღებელია და აქედან გამომდინარე, საშუალო სქესის, წვერ-ულვაშშეყრილი (ქალია თუ კაცი) ადამიანი პირველ ადგილს იღებს ევროვიზიის სიმღერის ფესტივალში, რატომ უნდა იყოს გამართლებული სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში მცხოვრები მილიონობით ადამიანის მიმართ დისკრიმინაცია?

დისკრიმინაციაა, როდესაც მილიონობით ადამიანს აიძულებ იცხოვროს იმ მთავრობის პირობებში, რომელშიც მას არ სურს ცხოვრება.

დისკრიმინაციაა, როდესაც ხალხთა კრებულს უარს უცხადებენ თვითგამორკვევაზე.

თვითგამორკვევის თემა ჩვენთვის შორი სამზერი არ უნდა იყოს, ვინაიდან ამ თვალსაზრისით საქართველო ნოყიერი ნიადაგია, თანაც ისეთი, დიდი შრომა-გარჯა რომ არ დასჭირდება მავანს თემის გასაღვიძებლად. არის საქართველო დაზღვეული მსგავსი პერსპექტივისგან? ნამდვილად არა.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა, თანაც კომპაქტურად ჩასახლებულმა სომხებმა და აზერბაიჯანელებმა თუ იხუვლეს და ერთ მშვენიერ დღეს თქვეს თვითგამორკვევა გვინდაო, რას ვიზამთ? რეფერენდუმი რომ ჩაატარონ, უკრაინის ხელისუფლებასავით, ტანკებით ჩავახშობთ? ფიქრობს თუ არა ხელისუფლება იმ პრობლემების მოგვარებაზე, რაც მათთან დაკავშირებით არის?

ეჭვი მეპარება, რომ ფიქრობდეს. მართალია, დღეს ეს პრობლემა არ დგას, მაგრამ მოვლენები სწრაფად ვითარდება. თვითგამორკვევა გადამდები რამ არის და უკრაინაში დაწყებული, მალე სხვაგან ამოჰყოფს თავს.

**უკრაინა უკრაინელებისთვის! — ბრძანეს კიეველმა ნეოფაშისტებმა და ლამის დანაწევრებულ უკრაინას იღებენ შედეგად. ეროვნული მოძრაობის ზეობისას აქაც იყო მსგავსი პატრიოტული ლოზუნგი, საქართველო ქართველებისთვისო, რასაც აზერბაიჯანელთა (ცხადია, საქართველოში მცხოვრებთა), ისეთი რეაქცია მოჰყვა, უკეთესს რომ ვერ ინატრებდა საქართველოს ავის მსურველი. მაშინ პატარა ნაპერწკალმა გამოიწვია უკმაყოფილება. ვართ თუ არა დაზღვეული მსგავსი ინციდენტისგან?**

სომხებით დასახლებული სამხრეთი ხომ სისტემატურად გვახსენებს თავს სხვადასხვა „პატრიოტული“ თემებით? აქეთ აჭარა, მოჭარბებული თურქული გავლენით და ჩასახლებული თურქებით, თურქული ბიზნესით და ათასობით საქართველოს მოქალაქე თურქით — სააკაშვილმა რომ ხელგაშლილად ჩამოურიგა მათ. დავუმატოთ ამას ევროპელთა დაბეჯითებული მოთხოვნა რეგიონულ ენებთან, სხვა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, ქართულ წისქვილზე რომ არ ასხამს წყალს და დავინახავთ ჩვენს ნაკლებად წარმტაც ხვალინდელ დღეს.

**საქართველოს პოლიტიკისთვის სრულიადაც მიუღებელი უნდა იყოს აზერბაიჯანული და სომხური მოსახლეობის სრული ინდიფერენტიზმი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი. მთავრობა ჩვეულებრივად აღიქმვამს მათ პასიურობას პარლამენტის განსახილველი კანონპროექტებისადმი. ავიღოთ თუნდაც ყბადაღებული ანტიდისკრიმინაციული კანონი.**

არავინ იცის, მოსწონთ თუ არა მათ პარლამენტის გადაწყვეტილება. არავინ იცის მათი პოზიცია ასოცირებულ წევრობასთან, მით უმეტეს ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით. რაშია საქმე? სძინავთ მათ? იქნებ სულაც არ სძინავთ, უბრალოდ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას არაფრად აგდებენ? იქნებ მთელი გულისყურით ისინი ბაქო-ერევანს არიან მიჩერებული? ეს რომ ასეა, ფაქტია. საქართველოს ხელისუფლება კი, ნაცვლად იმისა, აქტიურად ზრუნავდეს მოსახლეობის (თითქმის მილიონის) ქართულ პოლიტიკაში ჩასართველად, ფუქსავატური საქმიანობით არის დაკავებული.

ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლება სერიოზულად იხილავდეს დარჩენილი საქართველოს მთლიანობის საკითხს, დღენიადაგ თავის მართლებაშია - მე არ ვაწარმოებ ფარულ მოსმენებსო. თითქმის ერთი კვირაა, ყველა ტელეკომპანია ამ თავშესაქცევი თემით არის დაკავებული და არა მარტო თვითონ, სხვასაც აკავებს.

**ქვეყანა თავზე გვექცევა — ისინი კი მოსმენებზე ლაპარაკობენ. ტელეარხებზე ერთმანეთს ცვლიან „სერიოზული“, „ძალიან სერიოზული“ და „ზე სერიოზული“ არასამთავრობოების ბრიყვი წარმომადგენლები, მათ ფეხის ხმას აყოლილი „ოცნებელები“ და ამ ისტორიის ამგორებელი „ნაცები“. ღორმა, ღორს უთხრა — შე დრუნჩიანო, ასეა „ნაცთა“ საქმე.**

ფარული მოსმენების დამფუძნებლები, ხელისუფლებას ადანაშაულებენ ამ საქმეში - ეს როგორ შეიძლებაო, ვიშვიშებენ ისინი და მათი მხარდამჭერები. ძალიანაც კარგად. შეხედეთ თქვენს სტრატეგიულ პარტნიორს აშშ-ს და თუ მაშინაც ვერ მიხვდებით, რასთან გვაქვს საქმე, აღარაფერი გვეშველება. აშშ, განუწყვეტელ რეჟიმში, უსმენს მთელს მსოფლიოს და წუთითაც არ ფიქრობს პოზიციის შეცვლას. „მე, ევროპის საკითხებში აშშ-ის წარმომადგენელმა, დიახაც უნდა ვიცოდე, რას ლაპარაკობს გერმანიის კანცლერიო“, — განაცხადა საქართველოს პოლიტიკოსების საყვარელმა ქალბატონმა ნულანდმა.

ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლები სულაც არ წითლდებიან სნოუდენის ახალ-ახალი ფაქტების გამომზეურებაზე. არც იმით არიან შეფიქრიანებულები, რომ მათ მიმართ ნდობა კლებულობს. აშშ-ს, შენს „ძმას“ და „მეგობარს“ რომ ესოდენ ცინიკური დამოკიდებულება აქვს მოსმენებისადმი, შენ რა გაღელვებს? გგონია, რომ იმაზე უმანკო ხარ?

მოსმენის თემამ ჩვენი ცხოვრებიდან რამდენიმე სანუკვარი, უკან დაუბრუნებელი საათი და დღე წაიღო. რამდენი ასეთი დღე, საათი და წელი დავკარგეთ ბედოვლათი ხელისუფლების პირობებში?

საქართველოს პოლიტიკოსთა ყურადღება უმნიშვნელო საკითხებით გაფანტული — ხან მოსმენები, ხან ანტიდისკრიმინაციული კანონი, ხან უკრაინის ხელისუფლების გამართლება, ხან საფრანგეთის პრეზიდენტის ოლანდის ვიზიტი და ხან ალასანიას დასავლეთისადმი ხვეწნა-მუდარა საქართველოში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსების თაობაზე, ხან კიდევ რა. . . მაგრამ არა მთავარი, მნიშვნელოვანი - ქვეყნის ყოფნა-არყოფნა.

**საქართველოს პოლიტიკას ჰგონია, რომ ამ საკითხში (ყოფნა-არყოფნა) მუდამ წარმატებული ვიქნებით, ვინაიდან ჩვენთან არის ევროპა და ამერიკა. უკრაინასთანაც იყვნენ. შედეგად — დაშლილი ქვეყანა.**



**ნათქვამია — „ცუდი მაგალითი გადამდებიაო“, იქნებ ამაზე გვეფიქრა და არა მესამეხარისხოვან თემებზე? მაგრამ ფიქრი, როგორც ჩანს, მას შეუძლია, ვისაც თავი მარტო ქუდის დასახურად არ აქვს.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

⦿ საარსებო მინიმუმი

**— როცა ქვეყანაში სოციალური პოლიტიკა იგეგმება — პენსიის ოდენობა იქნება ეს, მინიმალური ხელფასის ზღვარი თუ დაუბეგრავი მინიმუმის დონე, ყველაფერი საარსებო მინიმუმის შესატყვისად უნდა კეთდებოდეს, — აცხადებს ეკონომიკური პრობლემების ექსპერტთა ცენტრის ხელმძღვანელი რამაზ გერლიანი.**

იმის თაობაზე, თუ როგორია დღესდღეობით ქვეყანაში საარსებო მინიმუმი, რა პროპორციით შეიცავს იგი სასურსათო და არასასურსათო პროდუქციას, როგორია ცალ-ცალკე მათი შემადგენლობა, როგორი მეთოდიკით და რის საფუძველზე ადგენენ ამ მონაცემებს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სპეციალისტები, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთგზის გვისაუბრია. ამჯერად ამ უაღრესად მნიშვნელოვან და მეტად მწვავე საკითხს ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის მიერ საარსებო მინიმუმის დათვლის ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებასთან დაკავშირებით ვუბრუნდებით, რომელიც სპეციალისტებმა პარლამენტს, მთავრობასა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს რამდენიმე დღის წინათ წარუდგინეს.

საკითხი იმდენად აქტუალურია, რომ ადგილობრივი არჩევნების წინ სააგიტაციო-სარეკლამო კამპანიაში მას მრავალი პოლიტიკური გაერთიანების თუ ცალკეული პარტიების კანდიდატები აქტიურად იყენებენ. ეს გარემოება, უწინარესად, იმითაა განპირობებული, რომ თუნდაც **ბოლო ერთი წლის განმავლობაში საარსებო მინიმუმის ყოველთვიურ მონაცემებს თუ გადავხედავთ, რომელიც დაახლოებით 140-150 ლარის შუალედში იცვლებოდა, ეს თანხა აშკარად აცილებულია რეალობას, სამომხმარებლო ბაზარზე არსებულ ფასებს.** ასევე სინამდვილეს არ შეესაბამება მისი სასურსათო და არასასურსათო მდგენელების შეფარდება, რაც მოძველებული მეთოდოლოგიით, დღესდღეობით, მართლაც რომ, „მინიმუმის მინიმუმით" გაითვლება.

ეკონომიკის ექსპერტთა მიერ დაანგარიშებული, ასე ვთქვათ, „ალტერნატიული კალათის" ღირებულებამ სადღეისოდ 270 ლარი შეადგინა და არა 150 ლარი, როგორც ამას საქსტატი დრომოჭმული მეთოდოლოგიით გათვლებზე დაყრდნობით გვამცნობს. სპეციალისტებმა თავდაპირველად ხუთი ქალაქის, კერძოდ, **თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, თელავისა** და **გორის** სამომხმარებლო ბაზრებზე ამჟამინდელი ფასები შეისწავლეს, შემდეგ კვლევა ასევე **ახალციხეში, მარნეულსა** და **ზუგდიდში** ჩატარდება. პროექტის განხორციელების პროცესში ვირტუალური სამომხმარებლო



# „ალტერნატიული კალათა": 55/45-ზე

კალათა შეიქმნა, რომლის შემადგენელი სასურსათო და არასასურსათო პროდუქციის ღირებულებამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 270 ლარი შეადგინა. **ახალი მეთოდოლოგიით, მასში 55 პროცენტი სასურსათო, 45 კი არასასურსათო პირველადი მოხმარების პროდუქციაზე მოდის.** მკითხველებს კი შევახსენებთ, რომ ამჟამად ეს თანაფარდობა, შესაბამისად, 70/30-ზეა.

საკითხთან დაკავშირებით, ცენტრში აცხადებენ, რომ აუცილებელია დღესდღეობით პრაქტიკაში არსებული მეთოდოლოგიური მიდგომის გადახედვა, მათ შორის სასურსათო კალათის შემადგენლობა, რომელიც ამჟამად 40 დასახელების პროდუქტს მოიცავს.

მკითხველებს შევახსენებთ, რომ საარსებო მინიმუმი მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე დგინდება, რომელიც შრომისუნარიანი ასაკის ადამიანის ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიანობის შესანარჩუნებლად, ფიზიოლოგიურად აუცილებელი საკვების ოდენობას შეიცავს. მასში გათვალისწინებულია ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების პროპორციული შემადგენლობა და მინიმალურად საჭირო კალორიულობა.

თავდაპირველად საქართველოს ზემოჩამოთვლილ ხუთ ქალაქში ბაზარზე თითოეულ პროდუქტზე საშუალო ფასების საფუძველზე სასურსათო კალათის ღირებულებას ადგენენ, შემდგომ კი, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, თელავისა და გორის მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით, მიღებულ მონაცემებს ასაშუალობენ, რის მერე შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის მინიმალური სასურსათო კალათის შუალედურ თვიურ ღირებულებას ანგარიშობენ და 0,7-ზე ყოფენ, რაც მასში სურსათის პროცენტულ შემადგენლობას ასახავს.

— კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შრომისუნარიანი მამაკაცი ყოველთლვიურად სულ მცირე 2500 კილოკალორიას უნდა მოიხმარდეს, რაც ამჟამად არ ხდება. დარწმუნებული ვართ, რომ ის საკმარისი არგუმენტია საიმისოდ, რომ მინიმალური სასურსათო კალათის შემადგენლობა შეიცვალოს, — აღნიშნა ამასთან დაკავშირებით ცენტრის თავკაცმა რამაზ გერლიანმა. — შესაცვლელია ასევე მინიმალური საარსებო კალათის სასურსათო და არასასურსათო მდგენელთა პროცენტული წილები და ამჟამად ნორმად მიჩნეული შეფარდების ნაცვლად იგი 55/45-ზე უნდა იყოს.

მისი თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში სასურსათო პროდუქციაზე ფასები სეზონებისდა მიხედვით მერყეობს, ამდენად გაცილებით უპრიანი იქნება საქსტატის სპეციალისტებმა ზამთრისა და ზაფხულის მინიმალური სასურსათო კალათები ცალ-ცალკე შეადგინონ.

ადრეც არაერთგზის აღგვინიშნავს, რომ საარსებო მინიმუმის დათვლის ახალი მეთოდოლოგიის შექმნაზე, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სპეციალისტები დიდი ხანია მუშაობენ, მაგრამ, როგორც ცოტა ხნის წინათ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, **„ეს საკმაოდ გრძელვადიანი და მტკივნეული პროცესი აღმოჩნდა".** ამდენად, გაიზიარებს თუ არა ხელისუფლება ეკონომიკური პრობლემების ექსპერტთა ცენტრის მიერ შემუშავებულ ახალი მიდგომებით გათვლილ „ალტერნატიული კალათის" დამკვიდრებას, ისევე ძნელი სათქმელია, როგორც იმის ვარაუდი, თუ როდის დადგება ის დრო, რომ კალათში მაცქერალი არა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, არამედ თითზე ჩამოსათვლელი ხალხი დარჩება.

**ოთარ ტურაბელიძე**

⦿ განთლება

# განათლების მიღებაც და დასაქმებაც!

**პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით განათლების საერთაშორისო ცენტრი შეიქმნა, რომელიც სტუდენტებს საზღვარგარეთ სწავლას დაუფინანსებს. რით განსხვავდება დაფინანსების ახალი სისტემა საქართველოში ადრე მოქმედი მსგავსი პროგრამებისგან?**

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 2014 წლის 15 მაისს საზოგადოებას განათლების საერთაშორისო ცენტრის კონცეფცია წარუდგინა. მისი განცხადებით, ცენტრი სტუდენტებს საზღვარგარეთ სწავლას დაუფინანსებს, ხოლო საქართველოში დაბრუნების შემდეგ საჯარო სექტორში დაასაქმებს. პრეზენტაციისას პრემიერ- მინისტრმა სტუდენტებს ასე მიმართა:

**„ცენტრისთვის მნიშვნელოვანია ისეთი სტუდენტების დაფინანსება, რომლებსაც სახელმწიფოს დაუხმარებლად უცხოეთის ძვირადღირებულ უნივერსიტეტებში სწავლის საშუალება არ ექნებოდათ. თქვენი დაბრუნების შემდეგ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ თქვენ დასაქმდებით სახელმწიფო სამსახურში და თქვენს ცოდნას ჩვენს ქვეყანას მოახმართ".**

## ცვლილება საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსების სისტემაში

განათლების საერთაშორისო ცენტრის ვებგვერდის მიხედვით, პრიორიტეტულ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს შორისაა: სამართალი, აგრარული მეცნიერებები, ინჟინერია და ტექნოლოგიები, ზუსტი და საბუნებისმეტყველო (სიცოცხლის შემსწავლელი) მეცნიერებები, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, ჯანდაცვა და სამედიცინო მიმართულებები, ურბანული განვითარება, არქიტექტურა, რესტავრაცია და კონსერვაცია, სოციალური მეცნიერებები, თავდაცვა და უსაფრთხოება, ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები, ბიზნესის ადმინისტრირება. პრეზენტაციაზე ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა: **„პირველ რიგში, შევარჩიეთ ის დარგები, რომელთა განვითარებაც ყველაზე მეტად სჭირდება საქართველოს".**

პროექტი, რომელიც სტუდენტებს უცხოეთში სწავლას უფინანსებდა, საქართველოში ადრეც არსებობდა. ეს იყო ჯერ საპრეზიდენტო პროგრამა, ხოლო შემდეგ განათლების სამინისტროს პროგრამა — „ცოდნის კარი". როგორც განათლების საერთაშორისო ცენტრის უფროსი ნინო ჭელიძე ამბობს, ახლად შექმნილი პროგრამა ძველისაგან ძალიან განსხვავდება:

**„ამ პროგრამის ძირითადი, კონცეპტუალური განსხვავება არის კავშირი დამსაქმებელსა და განათლების მიმღებს შორის და, საბოლოო ჯამში, კვალიფიციური კადრის ჩამოსვლა. ანუ ეს სამი ბმულია გაკეთებული. მეორე, შერჩევის აბსოლუტურად ტრანსპარანტული, ღია სისტემა".**

ნინო ჭელიძე განმარტავს, რომ შერჩევის გამჭვირვალე სისტემა სტუდენტების სრულ ინფორმირებულობას გულისხმობს. მისი თქმით, თუ სტუდენტი დაფინანსებას ვერ მიიღებს, ცენტრი მას აუხსნის, რატომ დაიწუნეს მისი აპლიკაცია: **„ადამიანს როდესაც უარს ეუბნები, არა უშავს, მაგრამ მან უნდა იცოდეს, კონკრეტულად რატომ ეთქვა უარი, რომ შემდეგი წლისთვის გააუმჯობესოს ან მიხვდეს, რომ ეს ის პროგრამა არ არის, სადაც აპლიკაციის შემოტანა უნდოდა".**

ევროგაერთიანების პროგრამა „ტემპუსის" მიზანი ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობა და თანამშრომლობის განვითარებაა. პროგრამის ეროვნული ოფისის ხელმძღვანელი ლიკა ღლონტი ამბობს, რომ განათლების საერთაშორისო ცენტრის შექმნა კარგი ინიციატივაა, თუმცა, ძველი პროგრამისგან პრინციპულ განსხვავებას ვერ ხედავს:

**„მე მგონია, რომ ეს არის უფრო პიარსვლა. შეგვიძლია ამას ახალი ვეძახოთ. შეიძლება ახალია, იმიტომ რომ პატრონაჟის სისტემა შეიცვალა, აღარ არის პრეზიდენტთან და განათლების სამინისტროში და პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაშია. შეიძლება სიახლეზე ვილაპარაკოთ, იმიტომ რომ ინსტიტუციურად სხვანაირად არის აწყობილი და სპეციალური ცენტრი შეიქმნა, თუმცა, შინაარსობრივად, გამოსავლისა და შედეგის მიხედვით, სხვაობას მე ჯერჯერობით ვერ ვხედავ".**

ლიკა ღლონტი განმარტავს, რომ კარგი იქნებოდა ადრე მოქმედი დაფინანსების სისტემების შესწავლაც. მისი თქმით, სასარგებლო იქნებოდა იმის შეფასებაც, თუ რა მოიგო ამით სახელმწიფომ.

**გიორგი გოგუა,**
**რადიო „თავისუფლება"**

⦿ ალიან-ჩალიანი

## თბილისის შემოვლითი გზის განვითარებისთვის სოციოლოგიური გამოკითხვა ტარდება

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და საავტომობილო გზების დეპარტამენტი თბილისის შემოვლითი გზის განვითარებისათვის მოძრაობის ინტენსივობისა და მიმართულებების დასადგენად სოციოლოგიურ გამოკითხვას ატარებს.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს" უწყებიდან აცნობეს, კვლევა ტარდება შემდეგ წერტილებში: თბილისი-ნატახტრის გზა, ლოჭინის ხიდი 21-ე კმ, ზემო ფონიჭალა — მარნეულის მიმართულებით, თბილისი-რუსთავი მე-14 კმ.**

**— გამოკითხვასთან ერთდ, ზემოაღნიშნულ წერტილებში დამონტაჟდა ავტომატური სათვლელი აღჭურვილობები, რომლებიც 48 საათის განმავლობაში დაითვლიან ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობას, მათი კატეგორიების მიხედვით. სოციოლოგიური კვლევა ნებაყოფლობითია და მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით, საპატრულო პოლიციის დახმარებით ტარდება. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და საავტომობილო გზების დეპარტამენტი მადლობას უხდის ყველა იმ მძღოლს, რომელმაც კვლევაში მიიღო მონაწილეობა, — აცხადებენ უწყებაში.**

**მათივე განმარტებით, თბილისის შემოვლით გზის ახალი პროექტი მნიშვნელოვანია როგორც სატრანზიტო მოძრაობისათვის, ასევე თბილისში მოძრაობის განტვირთვისა და მგზავრობის დროის შემცირებისათვის.**

## საგარეო სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 3441 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 14 პროცენტით მეტია.**

**აქედან, ექსპორტი 933 მლნ აშშ დოლარი იყო (19%-ით მეტი), ხოლო იმპორტი 2508 მლნ აშშ დოლარი (13%-ით მეტი). უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2014 წლის იანვარ-აპრილში 1576 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 46% პროცენტი შეადგინა.**

**ინტერპრესი**

# სად არის იმედი?

**წელს გაზაფხული გვიან მოვიდა, მაგრამ სწრაფად შევიდა თავის ფაზაში და ზაფხულისაკენ გადაიხარა. არადა, სულ ცოტა ხნის წინათ ახლადგაკვირტული ხეებიდან სიმწვანე არ ჩანდა და უცებ... სასწაულის მოხდენა შეუძლია გაზაფხულის მზის სხივებს. შეიფოთლა და გამწვანდა ბუნება. გაზაფხულის ეს უეცარი აფეთქება ვაკის პარკის მიმდებარე ტყემ მაგრძნობინა , თორემ თბილისში გაზაფხულს ნაკლებად შეამჩნევ. არც ისეთი სიხარული მოაქვს, როგორიც წინა წლებში მოჰქონდა. ხეხილის ბაღებით დამშვენებული, კოხტა, ბელეტაჟიანი სახლებით გაწყობილი ეზოები, საიდანაც „ბულბულის სტვენა და შაშვის გალობა“, ჩიტუნების ჟღურტული გამუდმებით ისმოდა და გვიტკბობდა სმენას, სამუდამოდ გაქრა. სად ნახავ ახლა ისეთ მშვენიერ სურათს, რომელიც სულ ცოტა ათიოდე წლის წინათ ალამაზებდა და ჟანგბადით ავსებდა ქალაქის იმ გარეუბნებს, ახლა რომ ცენტრებად ქცეულან.**

გავიხსენოთ თუნდაც ადრინდელი ვაკე. რა ულამაზესი ეზოები, რა ბაღები განადგურდა და ახლა იქ მშვენიერი, მწვანე და მსხმოიარე ხეების ნაცვლად, არქიტექტურულად არცთუ ისე შნოიანი, მრავალსართულიანი სახლები ყელყელაობენ. გასაკვირი ის არის, რომ ბუნების გავერანების ასეთი მეთოდებით ერთნაირად კმაყოფილია როგორც ქალაქის არქიტექტურა, ასევე მთავრობა და თავად მოსახლეობაც. თუ სადმე დარჩა ბაღებიანი სახლები, მათი პატრონებიც ნატრობენ ინვესტორს, მოუთმენლად ელიან მამაპაპური ბაღების გაჩეხვას და აწოწილ, უგემოვნო სახლების აშენების შემდეგ, სართულებზე გადაბარგებას. გაზაფხულმა გამახსენა ეს ყველაფერი და საით წამიყვანა... თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ამ წერილის წერა სულ სხვა სურათმა დამაწყებინა.

ჩვენს პარკებში ხომ ადამიანებზე უფრო მეტად ძაღლები ლაღობენ... დამდგარა ერთი ახალგაზრდა და სახეზე ღიმილგადაფენილი უცქერის ორი ძაღლის თამაშს. ძაღლი ხომ ძაღლია, მაგრამ ესენი ისეთი სიხარულით დარბოდნენ, თამაშობდნენ, ესიყვარულებოდნენ, ეხვეოდნენ და ეფერებოდნენ ერთმანეთს, რომ ძალაუნებურად ჩემი ყურადღება მიიქციეს ერთმანეთთან შეხვედრით გამოწვეული სიხარულით და სილაღით. სინანულით და სევდით ვინატრე, ნეტავ ადმიანებს შეგვეძლოს ურთიერთის ნახვით ასეთი გახარება, ასეთი სიყვარულის გამოხატვა! ნამდვილად საამო იყო მათი ცქერა, გულში ვერ დავიტიე ჩემი განცდა და ახალგაზრდას გავესაუბრე. ახლა, არ გაინტერესებთ,ის როგორ გამომეპასუხა? მასაც შეშურებია თურმე ამ ძაღლების. როგორ არ შეგშურდება, როცა ადამიანებს ძალიან გვიჭირს ერთმანეთის მოფერება. პირიქით, ქიშპობა, შუღლი, გაუტანლობა გაცილებით მეტი ჩანს ჩვენს ურთიერთობებში, ვიდრე სიყვარული და თანადგომა, მოფერებას ვინ დაეძებს... ნეტავ ტელევიზორში არ აშუქებდნენ უმადურობის, სიძულვილისა და ღალატის იმ ფაქტებს, რაც უმაღლესი დონის ჩინოვნიკებს შორის ხდება.

სასწაული ის არის, როგორ წარმოგვიდგენენ ერთნი მამა აბრამის ბატკნად ადამიანს, რომლის პრეზიდენტობის დროს ქვეყანაში ამორალურმა, ცხოვრების მახინჯმა ფორმებმა ლამის წალეკა ქვეყანა და ახლა, თურმე, გაახსენდა ამ ადამიანს, რომ არსებობს ქვეყნად გაცილებით მნიშვნელოვანი ღირებულებები, საჭიროა თურმე ადამიანის გონების გაწრთვნაზე ზრუნვა, რომლისთვისაც პირველადია წიგნი და ბიბლიოთეკა. ახლა ეს ადამიანი ახალი ბიბლიოთეკის შემქმნელ-დამფუძნებლად უნდა მოგვევლინოს თურმე, ჩვენ კი სხვა რა გზა დაგვრჩენია, თუ არა ვუცქიროთ ტელეჟურნალისტის აღმოჩენას, თუ რა კეთილშობილება სუფევს ყოფილ პრეზიდენტში, თუ როგორ დადის იგი ევროპისა და ამერიკის ქალაქების ქუჩებში, წიგნების მაღაზიიდან მაღაზიაში, არჩევს საუკეთესო ავტორებს, ყიდულობს წიგნებს, ავსებს ჩანთებს და პარალელურად აქ, ჩვენს „უწიგნურ“, მაგრამ შადრევნებით და შუშის შენობებით გამდიდრებულ ქალაქში აშენებს ახალი ტიპის ბიბლიოთეკას და აქ დასამკვიდრებლად, ამ ჯერზე, ბიბლიოთეკის დირექტორის თუ უფრო აღმატებულის როლში, იწყობს კაბინეტს.

თუ სამართალს და პასუხისმგებლობას მხედველობაში არ მივიღებთ ( ან როდის ვღებულობდით!), ამ მოვლენა-ეპიზოდში ცუდი არაფერია, ღმერთმა ქნას და დაბნეულ-დაკარგული შვილი დაუბრუნდეს ქვეყანას, თუ არა, თავის მამას მაინც!..

მე კი გავაგრძელებ საუბარს ძაღლების ურთიერთობებისაგან განსხვავებულ, ჩვენი ადამიანური ურთიერთობების შესახებ. ამ უკანასკნელთა ურთიერთობებში კარგს და სასიკეთოს ვერაფერს ვხედავ. ზოგადად მეჩვენება ასე, თორემ ისე, კერძო შემთხვევებში ერთგული და მოსიყვარულე მეგობარი ვის არა ჰყავს. არა, ჰყავს კი არადა, ზოგჯერ ისეთ გადაცემებს ვუსმენ, განსაკუთრებით, როცა გარდაცვლილებზე საუბრობენ, მათი ერთგულებისა და სიყვარულის ფაქტების მოსმენით გული მიჩვილდება და ცრემლებსაც უხვად ვღვრი. რა გაეწყობა, ასე ვიცით, ზედმეტ ქება-დიდებას ვასხამთ უკვე იქითა საქართველოში გამგზავრებულთ. აქეთა საქართველოში კი ერთგული მეგობარი კი არა, ერთგული ნათესავიც კი გვენატრება, ნათესავიც. რომელსაც ვალდებულება და პასუხისმგებლობა უფრო მეტად მოეთხოვება, ვიდრე მეგობარს. ყოველივე ამის მიზეზი ცხოვრებააო, ამბობენ, ცხოვრება, რომელმაც ჩვენს შორის ახალი სუბიექტი, გნებავთ ძალა, გრძნობა, რეალი — ფული, კაპიტალი შემოიყვანა. ამ ახალი, სათაყვანებელი ფეტიშით, იდეალით გატაცებული ადამიანები მეგობრებისა და ნათესავებისთვის ვერ იცლიან, მხოლოდ იმ არეალს უთვალთვალებენ, იქითკენ აქვთ თვალ-ყური მიპყრობილი, საიდანაც სიმდიდრისა და ქონების „სურნელი“ მოედინება. კაპიტალის „სიყვარულმა“ და მოთხოვნილებამ შეცვალა ადამიანის ფსიქოლოგია.

## მარადიული თესლი



ამ წერილის კითხვისას საკუთარი ტკივილის მომგვრელი თავგადასავლები ბევრს გაგვახსენდება, მაგრამ ისეთი რამ, რაც ამ ცოტა ხნის წინათ მოხდა საქართველოში, მართლაც, შემაძრწუნებელი და სულის შემძვრელია, მამას, შვილის განსაკურნავი ფულის მოსაპოვებლად სიცოცხლის გაწირვა დასჭირდა, თავი ჩამოიხრჩო! მიზანი: 13 წლის გოგონას, მისი შვილის, გამოსაჯანსაღებლად, ოპერაციის გასაკეთებლად საჭირო ფულის მოპოვება იყო. საცოდავი მამა იმედოვნებდა, რომ სოფელი, ტრადიციისამებრ, მის დაკრძალვაზე, ეგრეთ წოდებულ „გადასახურავს“ მიიტანდა. ასეც მოხდა, გოგონას ოპერაცია გაუკეთეს, ის კარგად არის, მაგრამ ახალგაზრდა, სიცოცხლეს მოწყურებული მამის თავგანწირვით დათრგუნული და აფორიაქებულია... ნათესავებს რომ თავის დროზე მეტი ყურადღება გამოეჩინათ, ეს უბედურება არ მოხდებოდა. უბედურება, რომელიც თავისთავად უბედურება ხომ არის, მაგრამ სამარცხვინოა და როგორი მერე! 21-ე საუკუნეში, გულკეთილობით, ქველმოქმედებით, ერთმანეთისადმი ყურადღებიანობით ვითომ სახელგანთქმულ საქართველოში ასეთი რამ უნდა მომხდარიყო? არა, რა თქმა უნდა, არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ, აშკარად შეცვლილია დრო და შეცვლილი კი არა, თითქმის სავსებით განადგურებულია ურთიერთდახმარებისა და თანაგრძნობა-თანადგომის ტრადიციები. იყო დრო, როდესაც ადამიანები ერთმანეთისადმი ყურადღებას ავლენდნენ, ერთმანეთს მხარში ედგნენ, სიყვარულს გამოხატავდნენ, თუმცა, მატერიალურად ვერ ეხმარებოდნენ უსახსრობისა და უფულობის გამო, დღეს კი ვერ ეხმარებიან კი არა, არ ეხმარებიან უგულობის გამო. რატომ, სად წავიდა ეს გული, სითბო და სიყვარული რამ დაუკარგა ადამიანებს? გასაკვირია ნამდვილად, მაგრამ არ გვიკვირს, იმიტომ რომ კარგად ვიცით, რა ხდება და რამ შეცვალა დროება. დიახ, დროება ჩვენ, ადამიანებმა შევცვალეთ. დრო თავისით არ იცვლება, ჩვენა ვართ თავდაპირველი მიზეზი დროების შეცვლისა. განგებამ დაგვაჯილდოვა გონით... განგებამ ამირანიც დააჯილდოვა... ღონით. ალბათ, გონითაც, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გონების სრულად გახსნისა და მისი გამოყენების წუთებამდე მისული ადამიანი, მაგრამ მაშინაც, იმ დროშიც კი მიხვდნენ ადამიანები, რომ ამირანი შეცდა და თავისი ღონე ღმერთის წინააღმდეგ გამოიყენა. დღეს 21-ე საუკუნეში, როდესაც ღმერთის ნაწყალობევი გონი ადამიანისა უმაღლეს დონეზე (თითქმის მაქსიმალურად!) გაიხსნა და გაიფურჩქნა, რას ვახმართ, რაში ვიყენებთ ადამიანები ჩვენს გენიალურ ნიჭსა და უნარს? გვაგონდება კი ის ჩვენი „ძე შეცდომილი“ ამირანი, ღმერთს შეჭიდებული და საკუთარი თავის დამღუპველი? ვაი თუ, ახლაც ეჭიდება და უპირისპირდება ადამიანი ღმერთს, როდესაც თავისი უსაზღვრო სწრაფვით, უცნაური და გაუგონარი ცივილიზაციის ჯერ კიდევ დაუნახავი, თვალუწვდენელი მწვერვალებისკენ მიქრის და ვინ იცის, კაცობრიობას რას დაახვედრებს იქ, იმ სიმაღლეზე?

შეშინებული ვარ, ბიბლიური გოდოლი მახსენდება.

ხომ ვხედავთ (ვინც ვხედავთ!), ფულმა და ოქრომ, სიმდიდრისა და ქონების მაძიებლობამ, ახალი ტექნოლოგიების გამოგონებამ და დიდ საიდუმლოებებში წვდომამ ბევრი კეთილშობილური გრძნობა ჩაახშო ადამიანში. სიხარბემ გადაფარა სიკეთე და თვალის ჩინიც წაართვა ბევრს. ნათესავებმაც კი ვერ შეამჩნიეს ღარიბი კაცის გასაჭირი. გასაჭირი, რომელიც ხელმოკლე მამას, ცამეტი წლის გოგონას სიცოცხლეს ართმევდა. მამამ საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნა შვილი. გასაჭირში მყოფი ადამიანის თანადგომის უნარიც დაგვკარგვია და როგორც ჩანს, ადამიანის სიცოცხლესაც დაგდებია, ჩვენს თვალში, ფასი. გოგონა კი გადარჩა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა მისი სიცოცხლით გახარებულ მამასაც ეარსება?

ვხედავთ, რომ თანამედროვე საზოგადოების მორალი და ზნეობა შერყეულ-შელახულია, დიახ, ეს ერთი საჭირბოროტო საკითხია. მაგრამ, რა ვქნათ ახლა, ჩამოვუშვათ ხელები, ჩავქინდროთ თავები და მივყვეთ წამხდარ დროს?

ფილოსოფოსები გვეუბნებიან, რომ ყოველ მოცემულ დროში რაღაც ისე არაა, როგორც უნდა ყოფილიყოო, მაგრამ ...იქნებაო. ძალიან კარგი! თუმცა, ხომ საკითხავია, ამ ჯერზე, ჩვენთან, ჩვენს სინამდვილეში სად არის იმედი? იმედი თავად მამაშია, რომელმაც ყველაფერი გადალახა და თვითგანწირვით მომავალი იხსნა. სიცოცხლე გაგრძელდა. მამა ის თესლია, რომელშიც აღორძინების სრულყოფილი კოდია ჩადებული. ეს თესლი მარადიულია. ჩვენ დავსუსტდით, დავჭკნით, გავშრით და გავხმით, მაგრამ თესლი მთელია და უვნებელი. თუმცა, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, საზოგადოებამ თავის მორალურ პასუხისმგებლობაზე ხელი აიღოს. თუ ასე მოხდა, ეს იქნება დიდი უბედურება, თესლის ლპობა დაიწყება და ეს უკვე ნამდვილად მოგვიახლოებს სიკვდილს თუ არა, გადაგვარებას უთუოდ. თუ ჩვენ ვისწრაფით გამარჯვებისა და წინსვლისაკენ, მაშინ უნდა მოვუაროთ იმ თესლს, რომლისაგან იმ, თითქოსდა არაფრითგამორჩეული, ბოლოს კი უკეთილშობილესი ვანელი კაცის მსგავსი მარადიული მამები აღმოცენდებიან!

**გულნარა სტურუა**

---

**⊙ კაკალ გულში**

## წერტილოვანი ფრაზები

**● მაისის ბოლოს მთავრობა დაარიგებს სერთიფიკატებს „მოისმინა“, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს ინტეგრაციას ევრაზიულ კავშირში...**

**● ვინც არ უნდა იყო მანდ ოლანდი თუ ნორლანდი, ჩემი ბედი დაგებედოს.**

**● თბილისს არა აქვს თავისი „კონსტიტუცია“, ანუ რაზე ვთანხმდებით თბილისელები, როგორი ქალაქი გვინდა, როგორ უნდა განვითარდეს თბილისი არქიტექტურულად, ურბანულად, რა რეგულაციები უნდა მოქმედებდეს ქალაქში, რა შემოსავლები უნდა ქონდეს ქალაქს, რათა არ იყოს დოტაციაზე და ხელგაწვდილი არ ითხოვდეს ცენტრალური ხელისუფლებისგან ფულს.. და ა.შ.**

**ეს არის მთავარი და საკრებულოს წევრების საფიქრალ - საკეთებელი თბილისელებთან ერთად და არა ტყუილი დაპირებები: ასფალტს დაგიგებ და ლიფტს გამოგიცვლიო.**

**ვერ გაიგეს ამ ადამიანებმა, რომ ეს მერის და მერიის საკეთებელი საქმეა და არა საკრებულოსი.**

**დიდი ეჭვი მაქვს, რომ უმრავლესობამ ისიც არ იცის, რას ირჩევს და რისთვის..**

**დიაგნოზი: — ირჩევენ ვიღაცის ხათრით(მითითებით) მსახიობებს, მომღერლებს, ჟურნალისტებს, „კაი ტიპებს“, რომლებსაც წარმოდგენა არა აქვთ არც კანონშემომქმედებლობაზე და არც პოლიტიკაზე და მერე პერმანენტულად, მათვე ამუნათებენ, რომ უვარგისები არიან და საქმის კეთება არ იციან.**

**ეგ არის და ეგ.**

**● ეჰ, ოპოზიცია, ვერ ისწავლე ჭკუა, ვერა. სულ ერთმანეთს ართმევთ ხმებს და რჩებით წაგებულები. გული მიგრძნობს, შეგეპარებათ მელია საქათმეში, ან ნარმანია — ტყეში.**

**● ნიჭიერად მაინც მოგვატყუონ ამ პოლიტიკოსებმა და ჯანდაბას!**

**● „ვინც ჩოხა ახალუხში არ შემოსილა, ის ვერ გაიგებს ბუსუსიანი პრეზერვატივის გემოს“ — გოჩა ჩერტკოევი!**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

---

**⊙ ალიან-ჩალიანი**

## საქართველო და ბელარუსი ითანამშრომლებენ

**შესაბამის შეთანხმებას გუშინ ხელი მოაწერეს საქართველოს შემოსავლების სამსახურის უფროსმა ირაკლი გვარამაძემ და საქართველოში ვიზიტად მყოფმა ბელარუსის რესპუბლიკის გადასახადებისა და მოსაკრებლების მინისტრმა ვლადიმერ პოლუიანმა.**

**— საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმება პირველი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც საფუძველი ეყრება საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკის საგადასახადო ადმინისტრაციებს შორის თანამშრომლობას. მისი მიზანია, საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკის საგადასახადო ადმინისტრაციებს შორის ურთიერთობის განვითარება, საგადასახადო შინაარსის შემცველი ინფორმაციის გაცვლა, საგადასახადო დარღვევების ერთობლივი ძალისხმევით აღკვეთა, დახმარება საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფაში, — აცხადებენ უწყებაში.**

№96. შაბათი, 17 მაისი, 2014 წელი.

**ჩვენმა გაზეთმა მკითხველს თავის დროზე სიამოვნებით ამცნო ცნობილი ქართველი მშენებლისა და სამეურნეო მუშაკის ომარ მარგველაშვილის მოგონებათა წიგნის „დრო, დრო აღნიშნე“ (2011 წელი) გამოცემა.**

**უკანასკნელ ხანს წიგნის თაროზე მოზღვავდა მემუარული ხასიათის ლიტერატურა. წერს ყველა, ვისაც არ ეზარება და ვისაც ფაქტობრივად არაფერი აქვს სათქმელი მკითხველისთვის. ამ ზღვაში ომარ მარგველაშვილის ნაკალმარი სრულიად განსხვავებულია. ჯერ ერთი, ბატონმა ომარმა, რომ იტყვიან, სისხლსავსე ცხოვრებით იცხოვრა, ბევრი სასიკეთო საქმის კეთება მოასწრო, და ძალუმი წვლილი შეიტანა ქვეყნის აღმშენებლობაში (ამ გზას დღესაც აგრძელებს), ამრიგად, მისი მოგონებები მკითხველისთვის ძალზე საინტერესო და ღირსსახსოვარია. მეორეც, ავტორი წერს დამკვიდრებული მემუარული სტილისგან განსხვავებულად, მისი წიგნი ფაქტობრივად დოკუმენტური ნოველების კრებულია, წერს ლაღად, გამართული ქართულით, ლაკონიურად.**

**ახლახან გამოიცა ომარ მარგველაშვილის მოგონებათა მეორე წიგნი, პირველივით ცინცხალი და ცხოველმყოფელი.**

**გთავაზობთ რამდენიმე თავს ორტომეულიდან.**




# ქართველი ერის სულიერი მოძღვარი

დიახ, სწორედ და მხოლოდ უწმინდესი და უნეტარესია ერთადერთი უზენაესი გონება და სიწმინდე ტანჯული საქართველოსი.

საგულისხმოა, რომ უკიდურესი ფიზიკური და სულიერი ძნელბედობის ჟამს, საქართველოს უფალი მოუვლენდა ხოლმე ზნეობრივ გმირებს: ვახტანგ გორგასალს, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, გიორგი ბრწყინვალეს, ქეთევან წამებულს, ერეკლე II-ს, ილია ჭავჭავაძეს... წმინდა საეკლესიო მოღვაწეთაგან — გრიგოლ ხანძთელს. ისინი გადაგვარება-გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარ ქართველ ერს ეცხადებოდნენ ჭეშმარიტ მხსნელებად.



მართალია, რუსეთთან შეერთების გამო ფიზიკური გადაშენება აღარ გვემუქრებოდა, მაგრამ „ლუარსაბ თათქარიძეს“ დამსგავსებული ქართველის გადაგვარებას წინ თითქოს აღარაფერი ედგა. სწორედ ასეთ დროს მოუვლინა განგებამ მწუხარე ქვეყანას ილია ჭავჭავაძე (ილია მართალი), სწორედ დიდმა ილიამ დაუდო სათავე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში.

ქართველმა ერმა უპირველესად სწორედ მასთან გააიგივა ერის სულიერი და ფიზიკური გადარჩენის იდეა...

სწორედ ამიტომ უწოდა ერმა „ქვათა ღაღადის“ ავტორს საქართველოს უგვირგვინო მეფე!

გასული საუკუნის დასაწყისსაც დიდი ილიას ტვიფარი აზის, მაგრამ მაშინდელმა ქართველმა ლიბერალ-კოსმოპოლიტებმა არ აპატიეს ერის სულიერი მამობა და წიწამურში აღასრულეს საუკუნის შემზარავი დანაშაული. მიუხედავად ამგვარი მუხანათობისა, ილიას ერი მაინც ვერ გადაგვაჯიშეს. ქართველებმა გაუძლეს ბოლშევიკების ულმერთო შემოტევას.

სრულიად ანალოგიურია ფუნქცია და როლი ჩვენი პატრიარქისა... ერის სულიერი და ფიზიკური ხსნის იდეა სწორედ მისგან წარმოსდინდება და მისი ღვთაებრივი ქადაგებებით ავლენს თავს...

სრულიად აშკარად, ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს მასირებული შეტევა ზოგადსაკაცობრიო მორალურ ნორმებზე, ეროვნულ ტრადიციებზე, ოჯახსა და მართლმადიდებლობაზე.

უნდა ვაღიაროთ, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ანუ მაშინ, როდესაც ცხოვრების ასპარეზზე ჩემი და წინა თაობა გამოვიდა, ორთოდოქსი კომუნისტები თითქმის აღარ იყვნენ და კიდევ თუ სადმე შემორჩნენ, ამინდს ვეღარ მქნიდნენ. ამიტომ ფიზიკური გადაშენების, მით უმეტეს, ზნეობრივი გადაგვარების საფრთხე აღარც კი გვემუქრებოდა ქართველებს. მაშინდელი საქართველოს ყველა დონის პარტიული ხელმძღვანელების აბსოლუტური უმრავლესობა საქვეყნო, ეროვნული საქმის კეთებას ცდილობდა! მათ შორის, ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, მეც გახლდით... პარტიული მუშაკი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ, როგორც იტყვიან, ერთი აგური მეც დამიდვია სამშობლოს აღმშენებლობაში...

არადა, აღმშენებლობა მაშინ იყო, თუ იყო, რადგანაც დღევანდელივით უცხოთა თვალის ასახვევად კი არ შენდებოდა, არამედ ყველა მშენებარე ობიექტი ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესება-გაკეთილშობილებისთვის იყო გამიზნული! აღარაფერს ვიტყვი მილიონობით კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართზე, რომელიც ყოველწლიურად შენდებოდა და უსასყიდლოდ გადაეცემოდა ხალხს!

უამრავი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, კომუნალური, კულტურული, ჯანმრთელობის, განათლების თუ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი შენდებოდა. მთელი საქართველო დიდ სამშენებლო პოლიგონს მოგაგონებდათ... ამას დაუმატეთ 60-70-იანი წლების კულტურული რენესანსი, როდესაც ქართულმა ლიტერატურამ, პოეზიამ, კინემატოგრაფიამ, თეატრალურმა თუ სახვითმა ხელოვნებამ, ქორეოგრაფიამ, ესტრადამ (ჩვენი სატელევიზიო პროგრამები მაღალმხატვრულობით, შემეცნებითი გადაცემებითა და აქტუალური თემატიკით გამოირჩეოდა) და ბოლოს, ქართულმა სპორტმა მსოფლიოში გაგვითქვა სახელი!

ის აღმავლობისა და აღმშენებლობის პერიოდი ჩასარეცხად ნამდვილად არ გვემეტება, არც მე და არც ჩემს თაობას...

უნდა გვახსოვდეს: ხელაღებით წარსულის უარყოფა მომავალს სასიკეთოდ არ წაადგება!

თუმცა, ამ ყველაფერს, სისხლსავსე საზოგადოებრივ ასპარეზს თითქოს რაღაც აკლდაო და ეს რაღაც, როგორც აღმოჩნდა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია იყო! იმ დროს ხალხში (მათ შორის უმაღლეს პარტიულ ხელმძღვანელობაშიც) იყო ღმერთის რწმენა — შვილებსაც ვნათლავდით, წითელ კვერცხებსაც ვაგორებდით საფლავებზე, მაგრამ ეს ზედმეტი აფიშირების გარეშე კეთდებოდა.

უფრო სწორედ, მართლმადიდებლობის — ქართველი კაცის მთავარი იდეოლოგიის წარმოჩენა დადგა დღის წესრიგში და ღვთის განგებით მაშინ ესეც მოხდა.

უნდა ვაღიაროთ, რომ საკრალური მნიშვნელობისაა ჩვენი ერისთვის 1977 წლის 25 დეკემბერი, ანუ დღე, როდესაც უფლის ნებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამეუფეო ტახტზე ილია II კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრდა და დაიწყო მართლმადიდებლობის გაძლიერება-აღორძინების სრულიად ახალი ერა. ერა, რომელსაც ერთნაირი თაყვანისცემით ერიცა და ბერიც აშენებდა!

მას შემდეგ მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის სიბრძნით იმართება ჩვენი 2000-წლოვანი ეკლესია და არა მარტო ის — რადგან ილია II-ის ავტორიტეტი იმდენად აღმატებული და შეუვალია, რომ დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ შორის, ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაზე. ამ ხნის მანძილზე იცვლებიან საერო ხელისუფლებანი...არ იცვლება და კიდევ უფრო მაღლდება სახელი და ღირსება ქართული ეკლესიისა.

გასული საუკუნის 9 აპრილიდან (როდესაც ყურად არ ვიღეთ პატრიარქის შეგონება) მოყოლებული რა არ გადავიტანეთ, „წისქვილის დოლაბი არ დატრიალებულა ჩვენს თავს“, თორემ, სამოქალაქო ომებიდან დაწყებული, ვიდრე 2008 წლის ომამდე, ყველა „სიკეთე“ ვიწვნიეთ. გაფიქრებაც კი მზარავს იმისა, რომ თუ არა ილია II, რა მძიმე შედეგებს მივიღებდით ყველა თავსდამტყდარი განსაცდელიდან...

საარაკოა უწმინდესის როლი აგვისტოს ომის ტრაგიკული მოვლენების ჟამს... როდესაც კლოუნი სააკაშვილი რუსთაველზე რუსეთზე „გამარჯვებას“ ზეიმობდა, მაშინ ჩვენი მხცოვანი პატრიარქი ოკუპირებული ტერიტორიიდან დაღუპული მეომრების უპატრონოდ მიტოვებული გვამების გადმოსვენებისათვის იღვწოდა.

ალბათ, არის რაღაც ღვთაებრივი იმაში, რომ მისი უწმინდესობის წინაშე „გამარჯვებული“ რუსი ჯარისკაცებიც კი მუხლებზე ეცემოდნენ და დაკარგულ საკუთარ ადამიანობას წამიერად მაინც უბრუნდებოდნენ.

მრავლისმეტყველი იყო იმავე წლის ბოლოს პატრიარქის ვიზიტი მოსკოვში, რასაც პერევიდან ჯარის გამოყვანა მოჰყვა... თუმცა, სააკაშვილის უგუნურმა განცხადებამ იმავე საღამოს უკან შემოაბრუნა რუსული ტანკები!..

ძნელი წარმოსადგენია, კიდევ რა საშინელებათა მომსწრენი ვიქნებოდით ამ კოშმარული 9 წლის განმავლობაში, რომ არა მისი უწმინდესობის ძალისხმევა...

და მაინც, რასაც მის უწმინდესობას უბედავდნენ ეს ურწმუნოები (საკურთხეველში ბოკერიას, უგულავას და თოფურიძის არაერთგზის შეჭრიდან დაწყებული, თუთბერიძეების, პაიჭაძეების, კვესიტაძეებისა თუ ჩერგოლეიშვილების ტელეშეურაცხყოფით დამთავრებული), ისევ ჩვენი ინერტული საზოგადოების ბრალია!

არის რაღაც საკრალური პატრიარქის რუსეთთან დამოკიდებულებაში... ერთმორწმუნეობა, კულტურა, ტრადიციები და უღრმესი ჭვრეტა რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობებისა, მისთვის არსებითი არგუმენტებია მომავალი კეთილმეზობლობისთვის...

მისივე თქმით, აფხაზეთიცა და ცხინვალიც საქართველოს ორგანული ნაწილია და ისინი კვლავ დაუბრუნდებიან დედასამშობლოს... და რომ მის დანაწევრებას არ დაუშვებს ღვთისმშობელი — ჩვენი ერის ზეციური მფარველი და სასოება!..

მისი უწმინდესობა ილია მეორე მეორე ილიაა! ამიტომაც არ ეშვება რუსეთისაკენ სავალ გზებს, რადგანაც ამ ღვთიურ ბრძენ კაცს კარგად მოეხსენება, რომ საქართველოს ხვალინდელი დღე „ნატო-ნატოს“ ისტერიულ ყვირილში და ევროკავშირისაკენ უაზრო ლტოლვაში კი არა (რადგანაც, ისეთები, როგორებიც ვართ, იქ არავის ვჭირდებით), არამედ, რუსეთთან კეთილმეზობლობაზე გადის.

უპრეცედენტოა საქართველოში კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის გავლენა... აშშ-ს გამოკვლევების თანახმად, მისი რეიტინგი 94 პროცენტზე დაბლა არ ჩამოდის.

პატრიარქი საოცარი ტაქტითა და ქრისტიანული მორალური კანონებით უპირისპირდება იმ ამორალიზმის გამოვლინებებს და უხამსობათა იმ ნაკადს, რაც, სამწუხაროდ, „ცივილიზებული დასავლეთიდან“ მოედინება და ანადგურებს ადამიანის სულიერ საფუძვლებს...

მისთვის რუს-ქართველთა ერთმორწმუნეობა დღეს არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს 200 წლის წინათ იყო. ამიტომაც ამშვენებს, ალბათ, მის საბრძანებელს ერეკლე II-ის სურათი...

ჩემი უფროსი მეგობრის, აწგარდაცვლილი ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვებს მოვიშველიებ, რომლითაც დიდმა მწერალმა და მოაზროვნემ ერთი ჩემი ნაცნობი პუბლიცისტის დასმულ კითხვას უპასუხა:

— ბატონო ჭაბუა! ალბათ, გსმენიათ, ლამის რეფრენად ქცეული გამონათქვამი — მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი! თქვენი აზრით, ვინ ვართ ჩვენ, ქართველები — ევროპელები თუ აზიელები?

— ჩვენ არც ევროპელები ვართ, არც აზიელები. ჩვენ ვართ ის, როგორი სულიერებითაც მოვედით ამ დალოცვილ, მაგრამ „შარიან“ მიწა-წყალზე. პლუს ის, რაც ევროპიდან და აზიიდან ვისესხეთ და გავიქართულეთ.

ჩვენ ქართველები ვართ!!!

და ბოლოს, თავს უფლებას მივცემ, დიდებული მურმან ლებანიძის ღრმააზროვანი ლირიკული მონოლოგით დავამთავრო უწმინდესისადმი მიძღვნილი ნაკვეთი:

მკითხე და გეტყვი, რისი თამარი! —
ქართლის ცხოვრების რა ვიცი მეტი!
დავითი იყო ჩვენთვის მთავარი!
დავითი იყო... პირველი სვეტი!
მკითხე და გეტყვი რის ვაჟა, მენდე,
ერის მეობით და თავის მეთი,
არც თვითონ შოთა! —
დავითის შემდეგ
ილია იყო... მეორე სვეტი!
გაზნექილია ქარში ალვის ხე,
აწეწილია სამშობლოს ხედი...
ღმერთო, გვაღირსე,
ღმერთო, გვაღირსე,
ღმერთო, გვაღირსე მესამე სვეტი!

იქნებ სწორედ ჩვენი სათაყვანებელი უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქია ქართველთათვის ნანატრი „მესამე სვეტი?!“

ეს ის საკრალური კითხვაა, რომლის პასუხი ცხადზე უცხადესია ყოველი ჭეშმარიტი ქართველისთვის!..

# ნაბან წყალს ბავშვს ნუ გადააყოლებთ!..

იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რა დღეში ვიყავით 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, როცა ბიძინა ივანიშვილის უმთავრესი ფაქტორის გარშემო დარაზმულმა ქართველმა ხალხმა ერთი შეხედვით შეუძლებელი შეძლო — უსისხლოდ (!!!) ჩამოართვა ძალაუფლება ხელისუფლებაში ბედის ირონიით აღზევებულ ქართველთმოძულე მანქურთებს!..

რევოლუცია საარჩევნო ყუთებთან! აი, სახელი იმისა, რაც მართლაც უდიდესი კულტურის მქონე ქართველმა ერმა მოახერხა. რევოლუცია, სისხლიანიც და უსისხლოც, მაინც რევოლუციაა, რაც პოსტრევოლუციურ რადიკალიზმსაც ბუნებრივად გულისხმობს — მით უმეტეს ისეთი არაადეკვატური პრეზიდენტის მოშორების შემდეგ გიჩნდება დაუოკებელი სურვილი, რომ ყველაფერი, რაც ნაციონალების რეჟიმის 9-წლიან კოშმარს გაგონებს, ერთი ხელის მოსმით გაანადგურო.

აი, აქ გვმართებს სწორედ ზომიერება...

ჩემი აზრით, ერთადერთი, რაც დანგრევას ექვემდებარება ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ეს გმირთა მოედანზე აღმართული სიმახინჯეა. ეგეც არ იყოს, ფუნქციაც გაუგებარია, ამ ძეგლის წარწერები ხომ იმისთვის არსებობს, რომ წაიკითხო, მაგრამ რომელი რაკურსით შეძლებ ამას დურბინდის გარეშე?

ამასთან დაუყოვნებლივ უნდა მოვაშოროთ გიგანტი ველოსიპედი, დავით აღმაშენებლის ძეგლი კი უნდა დავაბრუნოთ პირვანდელ ადგილას!

სხვა დანარჩენზე კი, დაფიქრება გვმართებს...

მაგალითად, ვერაფრით გავიზიარებ მოსაზრებას, რომ პრეზიდენტის სასახლის ფუნქცია უნდა შეიცვალოს. ჩემი, როგორც პროფესიონალი მშენებლის აზრით, ავლაბრის სასახლის ფუნქციის შეცვლა დიდ ფინანსურ დანახარჯებს უკავშირდება და კაცმა არ იცის, რამდენად ეფექტურად იფუნქციონირებს ამ შენობაში უნივერსიტეტი, მუზეუმი, ქართული სახლი, კოლეჯი თუ სხვა ნებისმიერი დაწესებულება.

გასაგებია, რომ თავის დროზე ამხელა სასახლის მშენებლობის დაწყება იყო შეცდომა და ერთი კაცის ახირება, მაგრამ ახლა, რადგან მოსახდენი მოხდა და მილიონები დაიხარჯა საქართველოსთვის შეუფერებელი მასშტაბის სასახლის მშენებლობაზე, კიდევ ერთ სისულელეს ნუ ჩავიდენთ და დარჩეს ექსპრეზიდენტ სააკაშვილის სასახლე ახალი პრეზიდენტების რეზიდენციად და იქ მივიღოთ და ვუმასპინძლოთ უმაღლესი რანგის სტუმრებს უმაღლეს დონეზე...

რაც შეეხება ძველ რიყეს და გადმოღმა მხარეს, ე. წ. სიყვარულის ხიდს — როგორც მშენებელი, ვერანაირი ნგრევის მომხრე ვერ ვიქნები. ერთადერთი, რასაც უეჭველად გავიტანდი, ეს რონალდ რეიგანის ძეგლია, რომელიც ერთი თბილისური რეფრენის არ იყოს, „როგორ მოხვდი ამ გაუგებრობაში“-ო, ისეა მაგ ძეგლის საქმე. დანარჩენს, ის „ტრუბების“ თეატრი იქნება, თუ „ოლვეისულტრა“ ხიდი, დრო გამოაჩენს მათ ავკარგიანობას, რისი მაგალითებიც უხვად მოიპოვება მსოფლიოში — პარიზში ეიფელის კოშკს და ნიუ-იორკში თავისუფლების ქანდაკებასაც თავის დროზე ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, მაგრამ დღეს ერთიც და მეორეც წარმოუდგენელია ამ მონუმენტური ქმნილებების გარეშე...

და ყველაზე მთავარი — ზოგიერთები „სააკაშვილის დროშის“ და ჰიმნის გამოცვლასაც ითხოვენ...

ჯერ ერთი, რატომ არის ხუთჯვრიანი დროშა სააკაშვილის?

ჩვენი ავბედითი ისტორიის გამო, ისიც კი არ ვიცით ზუსტად თუ როგორი იყო ერთიანი საქართველოს დროშა. თუმცა, საეჭვო არ არის, რომ უძველესი ქრისტიანული სამეფოს დროშაზე ჯვარი იქნებოდა გამოსახული და არა ნამგალი და ურო. ვინაიდან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აკურთხა ეს ბაირაღი საქართველოს სახელმწიფო დროშად, იქნებ ჯობდა, შეგვეწყვიტა ამაზე კამათი...

რაც შეეხება ჰიმნს, ჩვენმა ჩინებულმა პოეტმა დავით მაღრაძემ სააკაშვილს კი არ დაუწერა ჰიმნი, არამედ ზაქარია ფალიაშვილის ღვთაებრივ ჰანგებს მიუსადაგა აკაკის ასევე ღვთაებრივი ლირიკა...

ნუ გავხდებით ქვეყნის დასაცინი — ჰიმნი და დროშა ცხვირსახოცი არ არის, რომ ყოველდღე იცვალო!!!

ამ ბოლო ხანებში საკმაოდ გახმაურებულ, უფაქიზეს თემებს — კონსტიტუციური მონარქიის ინსტიტუტის აღდგენას და სუროგატი დედების საკითხს მინდა შევეხო.

თანამედროვე კლასიკოსის ჭაბუა ამირეჯიბის ორმოცზე, რომელსაც ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილიც ესწრებოდა (სუფრასთან შემთხვევით მის გვერდით მოვხვდი), უნებლიეთ საუბარში ეს პრობლემები წამოიჭრა. სხვათა შორის, მე და ბატონი ბიძინა ამ საკითხებში თანამოაზრენი აღმოვჩნდით.

მიმაჩნია, რომ საქართველო დღეს მეფის ინსტიტუტის, ანუ კონსტიტუციური მონარქიის აღდგენისთვის მზად არ არის — ამას არც დღევანდელი ქართველი საზოგადოების მენტალობა უწყობს ხელს, არც ბაგრატოვანთა შტოს (ვისაც პრეტენზია აქვს მონარქობაზე) წარმომადგენელთა ბიოგრაფია და არც ქვეყნის ეკონომიკა. მით უმეტეს, ორ საუკუნეზე მეტი წყვეტა გვაქვს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აღარც ტრადიცია არსებობს. ვფიქრობ, ეს საკითხი სადღეისოდ ქვეყანაში მომწიფებული ნამდვილად არ არის და ამ თემაზე საზოგადოების მსჯელობა ძალიან ნაადრევია.

რაც შეეხება ზრუნვას მომავალ თაობაზე — ერის გამრავლებაზე, ეს საკითხი არასწორადაა აღქმული და გაგებული, ეს დასანანი გაუგებრობაა. სუროგაციას და ხელოვნურ განაყოფიერებას ერთმანეთთან არაფერი საერთო არა აქვთ. მსოფლიოში მკვიდრდება ხელოვნური განაყოფიერების პროგრესული მეთოდი. თანამედროვე მედიცინის მიღწევებზე კი, უარის თქმა არ შეიძლება. მით უმეტეს, საქმე ეხება ბავშვის დაბადებას — ახალი სიცოცხლის გაჩენას, რომელიც აზრს აძლევს და ბევრად უფრო საინტერესოს ხდის უშვილო ოჯახების ცხოვრებას!

ხელოვნური განაყოფიერებით დაბადებული ბავშვი ღვთის შვილია და არ შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ის არასრულფასოვანია ან არასასურველია.

მსოფლიოში 7 მილიონზე მეტი ბავშვია ამ მეთოდით დაბადებული, მათ შორის, — საქართველოში 4 ათასამდე... პირველი ბავშვი 35 წლის ინგლისელი ქალბატონია, რომელმაც ფიზიოლოგიური მშობიარობით გააჩინა შვილი. საქართველოში დაბადებული პირველი ბავშვი კი 14 წლისაა.

იმრავლე ერო!..

**P. S. საქართველო ცრუ მოლოდინის რეჟიმში აგრძელებს ცხოვრებას. მრავალგზის გაწბილებული და ლამაზი დაპირებებით მოტყუებული, უკეთეს მომავალზე ოცნებობს. ოცნება კი ოცნებად რჩება...**

**„მეოცნებე“ პოლიტიკოსებს კატეგორიულად არ მოსწონთ წინასაარჩევნო დაპირებების შეხსენება. ისინი თვლიან, რომ ყველა დაპირება სრულდება. მიაჩნიათ, რომ გვყავს კარგი პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა, თუმცა, აქვთ პატარა „გადაცდომები“, მაგრამ იმდენად უმნიშვნელო, რომ მასზე ლაპარაკიც კი არ ღირს... პრინციპში საქმე კარგად მიდის!**

**ცდილობენ ვირტუალური კეთილდღეობის რეჟიმში გვაცხოვრონ. ქვეყანაში სამართლიანობის დასამკვიდრებლად ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა — „მეოცნებე“ ხელისუფლების უნიათობით, დამნაშავეები არათუ დაისაჯნენ (ამის პოლიტიკური ნებაც არა აქვთ), არამედ, ისევ აგრძელებენ მუშაობას პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასამართლოს, სხვა მაკონტროლებელ თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. მეტიც, ზოგიერთები დააწინაურეს კიდეც!**

**ერთი რამ უდავოა: შეუძლებელია, ქართული საქმის კეთება მხოლოდ ევროპა-ამერიკის სურვილითა და დავალების გათვალისწინებით! განა შეიძლება ისეთ უმძიმეს დანაშაულებს — 7 ნოემბერს, 26 მაისს, 2008 წლის აგვისტოს; უდანაშაულო ადამიანების ქუჩაში დახვრეტებს, მასობრივ წამებას და გაუპატიურებას ციხეებში; ბინძურ შეტევას მართლმადიდებლობაზე და ზოგადად, ეროვნულ ფასეულობებზე — იუმორით შევხედოთ?!**

# საბჭოთა ფეხბურთის ლეგენდა

მოსკოვში მე და ბელა გაგარინის რაიონში, უდალცოვის ქუჩაზე ვცხოვრობდით. ერთხელ შინ ტაქსით დავბრუნდით. სადარბაზოსთან რამდენიმე ადამიანი ნიჩბებით თოვლს ხვეტდა. ზამთრობით მოსკოვში ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენა იყო — ქუჩების, ეზოების, სკვერების დასასუფთავებლად ხშირად გამოჰყავდათ საწარმო-დაწესებულებათა თანამშრომლები, აგრეთვე მილიციაში მოხვედრილი წვრილმანი დამნაშავენი.

მე და ბელა სადარბაზოს შესასვლელში ცოტა ხნით შევყოვნდით. ბელას ქართულად რაღაც ვკითხე.

— Друзья, вы из Грузии? — შემოგვესმა უცებ.

მივხედე. ტყაპუჭიანი, სმისგან სახეშეშუპებული, კბილებჩაშავებული მამაკაცი ღიმილით შემოგვყურებდა.

— Да, из Тбилиси, — დავუდასტურეთ.

— Очень приятно. У меня в Тбилиси много друзей! — და რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელის გვარი ჩამოგვითვალა. გაოცება რომ შეგვატყო, დასძინა:

— Я _ эдуард Стрельцов...

სახტად დავრჩით. ეს „ბომჟივით“ ჩაცმული, უკვე მოტეხილი, ნაადრევად მობერებული მამაკაცი სულაც არ ჰგავდა იმ ლეგენდარულ ედუარდ სტრელცოვს, რომლის თავბრუდამხვევ ფინტებს და კარისკენ ელვისებურ გაჭრას სამოციან წლებში ტრიბუნებისთვის არაერთი აღფრთოვანებული ოვაცია მოუწყვეტია... გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ, არც მანამდე და არც მას შემდეგ, საბჭოურ ფეხბურთს „სტრელეცის“ (როგორც მას სიყვარულით ეძახდა გულშემატკივარი) დარი ბრწყინვალე ვარსკვლავი ბევრი არ ჰყოლია. მას შესანიშნავ სპორტულ კარიერას და მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ერთმა „უსაქციელობამ“ ყველაფერი წყალში გადაუყარა: ქალის გაუპატიურებისთვის გაასამართლეს და 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ეს განაჩენი მისთვის, როგორც სპორტსმენისთვის, მართლაც საბედისწერო აღმოჩნდა...

მახსოვს, ამ ამბავმა ფეხბურთის მოყვარულებს როგორ დაგვწყვიტა გული.

სტრელცოვმა ციხეში თორმეტი არა, მაგრამ ექვს წელზე მეტი გაატარა. მისი, როგორც ფეხბურთელის მზე სამუდამოდ ჩაესვენა: სასჯელის მოხდის შემდეგ დიდ ფეხბურთს ვეღარ დაუბრუნდა...

ძნელი დასაჯერებელი კი იყო, მაგრამ ჩვენს წინ სწორედ ის ედუარდ სტრელცოვი, ოღონდ უკვე ჩამოყალიბებული ლოთი, ტიპური „ალკაში“, ცხოვრებისგან უმოწყალოდ გათელილი კაცი იდგა.

— Милые мои, наверно у Вас будет „чача“, может угостите, а? Вы же добрый народ...

ისე საცოდავად შემოგვხედა, უარი ვერ ვუთხარი, ავიყვანეთ მეხუთე სართულზე. ბინაში შემოსვლაზე უარი განაცხადა და აღარც მე ჩამომიხევია კალთები. გამოვუტანე ერთი ბოთლი დაბეჭდილი არაყი. ბოთლი გულში ჩაიხუტა და აკოცა.

— Будьте добры, может и сигаретой угостите, пожалуйста...

შევბრუნდი და ერთი კოლოფი „ქემელი“ გამოვუტანე.

— Друзья, большое, большое вам спасибо, эту вашу доброту эдуард Стрельцов никогда не забудет! — ხელი ასწია, ჰაეროვანი კოცნა გამოგვიგზავნა, შეტრიალდა და ლიფტში გაუჩინარდა...

# ეთიოპიელი ქართველი

სახალხო მეურნეობის აკადემიაში შესანიშნავი ყოფითი პირობები გვქონდა: ვცხოვრობდით ერთოთახიან კეთილმოწყობილ ნომრებში, სადაც ტელევიზორიც იდგა და მაცივარიც, ტელეფონიც გვქონდა და აბაზანაც, მეცადინეობაც შეგვეძლო და გართობა-დასვენებაც. ჯანმრთელობის სამინისტროს მეოთხე სამმართველო გვემსახურებოდა, ტრენაჟორების დარბაზიც იყო და სპორტული მოედნებიც. ქვეყნის ფარგლებში, საითაც მოგესურვებოდა, იქ წახვიდოდი მივლინებით, ოღონდ მივლინების აუცილებლობა მოხსენებითი ბარათით უნდა დაგესაბუთებინა. საზღვარგარეთაც რამდენჯერმე ვიყავი მივლინებით. შესანიშნავი ბიბლიოთეკა ჰქონდა აკადემიას. იქ უამრავი, იმ პერიოდში აკრძალული წიგნებიც კი ჩვენთვის ხელმისაწვდომი იყო. ხელფასს ყოველთვის დროულად, ახალთახალი „ტკაცინა“ ბანკნოტებით გვიხდიდნენ.

აკადემიაში სწავლება იმითაც იყო გამორჩეული, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მსმენელთა კულტურულ პროგრამებს. ყოველ სამშაბათს, აკადემიასთან არსებულ კულტურის უნივერსიტეტში, რომლის რექტორიც საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი ვასილ ლანავოი იყო, იმართებოდა შეხვედრები კულტურისა და ხელოვნების ცნობილ მოღვაწეებთან... ეწყობოდა საბჭოთა და უცხოური იმ ფილმების ჩვენებები, რომლებიც დიდ ეკრანზე არ გადიოდა. მათ შორის იყო ისეთი ფილმებიც, რომლებსაც საზღვარგარეთის კინოფირმები ექსკლუზიური უფლებით უკვეთავდნენ „ГОСКИНО“-ს და რომელთა დემონსტრირება ჩვენს ქვეყანაში იკრძალებოდა.

არ დარჩენილა ცნობილ „Золотое колцо“-ს ფარგლებში არც ერთი ღირსშესანიშნაობა, ჩვენ რომ არ დაგვეთვალიერებინა: მოსკოვში — „Алмазный фонд“, „Оружейная палата“, „Третьяковка“, პუშკინის და სხვა მუზეუმები, ასევე სუზდალი, ვლადიმირი, აბრამცოვო, არხანგელსკოე და ა. შ.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ამდიდრებდა ჩვენს კულტურულ ცნობიერებას.

მსმენელებმა წესად დავამკვიდრეთ: ჯამაგირს რომ ავიღებდით, რომელიმეს ნომერში შევიკრიბებოდით და სუფრას გავშლიდით. ერთხელაც „ხელის უფრო ფართოდ გაშლა“ გადავწყვიტეთ მე, იური მატკინმა, ლევ ზარუბკინმა და ვლადიმერ კოპილმა (თანმიმდევრობით: შემდგომში — საბჭოთა კავშირის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; საბჭოთა კავშირის მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; უკრაინის ეკონომიკის მინისტრი), აკადემიასთან ახლოს, ვერნადსკის პროსპექტზე გრანდიოზული სასტუმროს რესტორანში გადავწყვიტეთ წასვლა. ავედით მეორე სართულის ფართო დარბაზში და მაგიდას შემოვუსხედით. ცოტა ხანში წამოვდექი და მეინახეებს ვუთხარი, რაც გსურთ, დაუკვეთეთ, მე მალე მოვალ-მეთქი.

პირველ სართულზე ჩამოვედი და სიგარეტი ვიყიდე. ფოიეს თვალი მოვავლე. ძალიან ბევრი ზანგი ირეოდა — პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ.

კიბეებს ნელი ნაბიჯით ავუყევი. ვგრძნობ, ფეხდაფეხ ვიღაც მომყვება, თან რაღაცას მეუბნება. ყურადღებას არ ვაქცევ — ზანგებს დებოში უყვარდათ, მე კი იმ საღამოს ჩაშხამება არ მინდოდა. მაინც არ მეშვება! როგორც კი კიბე ავათავე, სწრაფად შემომიარა და წინ დამიდგა. შევხედე, მაღალი, სასიამოვნო აღნაგობის ახალგაზრდა ზანგია, ლამაზი სახის ნაკვთებით, ჩემდა განსაცვიფრებლად, სუფთა, უაქცენტო ქართულით მეკითხება:

— უკაცრავად, ბატონო, ქართველი ბრძანდებით?

წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა! ზანგები კი ამტვრევდნენ რუსულს, მაგრამ ქართული, თანაც — გამართული ქართულით, ისიც, ჩვენთან, საქართველოში კი არა, მოსკოვში!

იმანაც შემატყო გაოცება და ცეცხლზე ნავთი დამისხა:

— ბატონო, მეც ქართველი ვარ...

რა ვქნა, იქნებ მომესმა? აბა, ვიღაც ზანგმა საიდან უნდა იცოდეს ქართული-მეთქი.

— შენ ხომ ზანგი ხარ? — როგორც იქნა, ამოვღერღე.

— ეთიოპიელი ქართველი ვარ, გვარად ნახუცრიშვილი! — ჯიუტად მეუბნება.

თითქოს ენა გადავყლაპე, პირში ნერწყვი გამიშრა:

— საიდან, როგორ?

ხელი მოვკიდე და მყუდრო ადგილას გადავინაცვლეთ. მეგობრები კი მეძახიან, ხელებს მიქნევენ, რას გადაეკიდე ვიღაც ზანგს, დაანებე თავიო. მათ ყურადღებას არ ვაქცევ.

— ახალგაზრდა, უცოლშვილო ბაბუაჩემი გასაბჭოებამდე ჩამოსულა ეთიოპიაში და ბებიაზე დაქორწინებულა. ბებია შეძლებული ოჯახის შვილი იყო, საკმაოდ ლამაზი. ბაბუაც კარგად მახსოვს — ახოვანი, სასიამოვნო გარეგნობის კაცი. ოთხი შვილი გაუჩნდათ. ჩვენი ოჯახი ადის აბებაში ცხოვრობს. ჩვენ ქრისტიანები ვართ. ბაბუა ხშირად გვესაუბრებოდა თავის სამშობლოზე, ძალიან ლამაზი ქვეყანააო საქართველო. რუკაზე გვიჩვენებდა. სულ დარდობდა. მონატრებას იმით იკლავდა, რომ ქართულად გველაპარაკებოდა და გულმოდგინედ გვასწავლიდა. მარტო შვილებსა და შვილიშვილებს კი არა, ბებიასაც შეასწავლა ქართული!

ჩვენ ქართველები და თქვენ ეთიოპიელები, გამორჩეული კულტურის ხალხი ვართო — ამბობდა ბაბუა, მსოფლიოში არსებულ 14 დამწერლობას შორის ცნობილია როგორც ქართული, ასევე ეთიოპიური დამწერლობაო.

ყველაზე ბეჯითი შეგირდი მაინც მე გამოვდექი — თითქმის უნაკლოდ დავეუფლე ქართულს. სიკვდილის წინ ბაბუამ მიმიხმო და ანდერძივით დამიბარა, უეჭველად უნდა ნახო საქართველო, იქ შენი წინაპრების ფესვებიაო...

ბევრჯერ ვცადე საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა, მაგრამ ამაოდ. პატრის ლუმუმბას უნივერსიტეტის საშუალებით კი ბაბუასთვის მიცემული სიტყვის შესრულების იმედი ჩამესახა.

ჩამოვედი თუ არა მოსკოვში, ქართველების ძებნა დავიწყე. ერთ რუსთაველ ახალგაზრდას დავუმეგობრდი. ძალიან ბევრი იწვალა და, როგორც იქნა, ვიზა მომიხერხა.

სიხარულით მეცხრე ცაზე ვიყავი!

მაგრამ ჩემი სიხარული ნაადრევი გამოდგა: თბილისისა და რუსთავის იქით ფეხი არ გამადგმევინეს. წინასწარ გამაფრთხილეს, ამ ორი ქალაქის გარდა არსად არ წახვალო... რა მექნა? რომ არ დამეჯერებინა და გამერისკა, იმ ჩემს მეგობარსაც პრობლემებს შევუქმნიდი... განზრახვაზე ხელი ავიღე და მოსკოვში ისე დავბრუნდი, ბაბუაჩემის სოფელი თვალითაც არ მინახავსო...

ჩემი თანამესუფრეები არა და არ ისვენებენ, მეძახიან და მიხმობენ. მე კი ისე ვარ აღელვებული, არაფერი მესმის და აღარც ის ვიცი, რა გავაკეთო. მოვკიდე ხელი ჩემს ეთიოპიელ ქართველს და მაგიდასთან მივიყვანე.

— გაიცანით ბიჭებო, ჩემი თანამემამულეა! — ვეუბნები.

— რა შენი თანამემამულეა?! — უკვირთ.

ოფიციანტს სკამი მოვატანინე, მაგრამ სტუმარი არაფრით არ დაჯდა, ფეხზემდგომელამ გვადღეგრძელა. მერე მომიბრუნდა, მთხოვა, თუ შეიძლება, ვახტანგურად დავლიოთო. ამან კიდევ უფრო გამაოცა: ბაბუას მისთვის მარტო ქართული ენა კი არა, ქართული ზნე-ჩვეულებაც, ადათწესებიც უსწავლებია!

ჭიქები გამოვცალეთ, ჩამეხუტა და მხარზე მეამბორა.

რადგან აღარ გაჩერდა, „მალბოროს“ კოლოფზე ნაჩქარევად ჩავიწერე მისი ტელეფონი.

მეორე დღეს ეს ამბავი ჩემს უფროს მეგობარს გივი გორგოშიძეს ვუამბე. პარტიის ცეკაში იყო ნამუშევარი და ცხოვრების უფრო მეტი გამოცდილება ჰქონდა. მითხრა, ომარ, შეეშვი, პერსპექტიული კაცი ხარ და ხათაბალას არ გადაეყაროო. ტელეფონიც დაივიწყე, „მალბოროს“ კოლოფიც გადააგდე. ეს არც იმ ეთიოპიელს და არც შენ გჭირდებაო...

დავუჯერე. დავუჯერე და დღესაც ვნანობ...

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| ობიექტი №1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარციხის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონზე „ვარციხის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 67 200 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარციხის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 9 011 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 901,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 002 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 17 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივნისის დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 ივნისის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივნისის დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი №2 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძეგვი, მდ. მტკვარზე „ძეგვის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 31 500 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძეგვი |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 795 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 479,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 159 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 17 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივნისის დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 ივნისის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივნისის დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი №3 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) კარიერის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს, ექსპლუატაციის შემდგომ ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით; ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმიანობის მიღებული უსაფრთხოების წესების დაცვით; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოხისის მიმდებარე ტერიტორია, „აგარის" (ჩრდილოეთ უბანი) ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 505 600 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოხისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 67 794 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 6 779,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 13 759 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 17 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივნისის დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 ივნისის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივნისის დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი №4 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის "ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები; ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს ინვესტორის საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და შპს „მტკვარი ენერგეტიკა" შორის 2013 წლის 23 ოქტომბრის მდ. მტკვარზე პოტენციური ჰესების ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლაზე გაფორმებული მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. აგარის მიმდებარე ტერიტორია, „დიდლიახვის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1+C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 51 900 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. აგარის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 7 409 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 740,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 682 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 17 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივნისის დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 ივნისის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივნისის დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 4 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი №5 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე გადაადგილების უფლება; ბ) ქვათაცვენის თავიდან ასაცილებლად, ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმიანობისთვის მიღებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კუკა, „ოხომირის" ტუფიტის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 49 700 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კუკა |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 17 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივნისის დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 ივნისის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივნისის დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## ფრაზები

# სხვათაგან თქმული

● თუ ყველა წესს იცავ, ყველა სიამოვნება გამოგეპარება.
● უკეთუ ხანდაზმულობას მიაღწიე და თავს ვერავითარ სიჩლუნგეს ვერ ატყობ, მაშასადამე, პირველი ნიშანი უკვე აშკარაა.
● დიაგნოსტიკამ უკვე ისეთ დონეს მიაღწია, რომ ჯანმრთელი ადამიანები პრაქტიკულად აღარ დარჩნენ.
● ბევრი ქალის უბედურება ის არის, რომ ხშირად არარაობით აღფრთოვანდებიან ხოლმე და მერე იმ არარაობას ცოლად მიჰყვებიან.
● ამქვეყნად სულელების ორი კატეგორიაა: ერთნი ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებენ, მეორენი არც არაფერს არ უყურებენ ეჭვის თვალით.
● თითქმის ყველა ჩვენი ხარჯი იმაზე მიდის, რომ სხვათა მსგავსნი ვიყოთ.
● თუ სადღეობო ნამცხვრის სანთლები თვითონ ნამცხვარზე ძვირი დაგიჯდათ, მაშასადამე, სიბერე კარზეა მომდგარი.
● სრული ბედნიერებისთვის საჭიროა, რომ სასმისი სულ ბოლომდე არ გავალიცლიცოთ.
● ერთნი ტანს ყრიან, მეორენი იჭიმებიან.
● თავს სხვებზე ჭკვიანად ნუ მიიჩნევ, თუნდაც გარეშე პირთა თანდასწრებით.
● ერთგულება ყველაზე უფრო გაუთვალისწინებელ ადგილებში შეინახეთ.
● წევისთვის თავის დანებება ბევრად ადვილია, ვიდრე ამის გადაწყვეტა.
● ადამიანები ძმები არიან, ზოგიერთნი — კიდევ უფრო უარესნი.
● დარვინის ნიჭმა ადამიანში მაიმუნი დაინახა.
● ადამიანში შეიძლება რომ მხეცმა გაიღვიძოს ვირის სახითაც.
● ყველაზე გავრცელებული პრინციპი უპრინციპობაა.
● ნამდვილად საწყენია, როცა ჯანმრთელობა მეტ საშუალებას გაძლევს, ვიდრე ცოლი.
● იმის გამო, რომ ფაღარათი აშკარად ცუდი რამ არის, ყაბზობა უკეთეს რამედ არ უნდა წარმოვიდგინოთ.
● ჩემი ხელფასი გულს უტეხს ჯიბის ქურდებს.
● მე თქვენ კი არ გატყუებთ, გაბნევთ.
● რაციონალურ მარცვლებს აქა-იქ ჯერ კიდევ ყრიან, მაგრამ ნიადაგს არ ამუშავებენ.
● კარგ ქმარს ცოლიც ადამიანი ჰყავს.
● კაცები მტრედებივით არიან, თუ ხელიდან გაუშვი, მერე რამდენიც გინდა უსტვინე...
● ჯენტლმენს თავი მაშინაც ხელში უჭირავს, როცა ფეხზე ძლივს დგას.
● უმიზეზოდ სიცილი რისამე ნიშანი კი არა, დიაგნოზია.






● ხანგრძლივი განშორება სიყვარულს ამაგრებს, მაგრამ კარადის კარებს არყევს.
● კაცის ასაკი განისაზღვრება იმ სისულელეების ერთობლიობით, რასაც ის ქალის გულისთვის სჩადის.
● არიან ადამიანები, რომლებიც დიდი ხანია, რაც არ მინახავს, და მაინც არ მინდა, რომ ვნახო.
● ორი ერთში — გაზიანი ნავთობი.
● ვინც ჩვენთან ინვესტიციებით მოვა, ის საპატიო სიგელს მიიღებს.
● მდიდარი კაცი უფრო იმიტომ მიყვარს, თვალში არ გეჩხირება.
● მარტოხელა ქალი ის ქალია, ვისაც არავინ არა ჰყავს, ქმრის გარდა.
● როცა ქალი თხოვდება, ბევრი მამაკაცის ყურადღებას ერთი მამაკაცის ყურადღებაზე ცვლის.
● იყიდა ქართულ-ინგლისური ლექსიქონი და ისწავლა ქართულ-ინგლისური ენა.
● მამაღმერთი სულებს ანაწილებს ზეცაში: „ეს სამოთხეში, ეს ჯოჯოხეთში, ეს კი ნამეტან ბევრს სცოდავდა — უკან საქართველოში დააბრუნეთ.
● საქართველოს პარლამენტმა კანონის პროექტი მიიღო, რომელიც კრძალავს საქართველოს ძარცვას თუ არა პარლამენტის კონტროლით.
● მოჭადრაკე ვერ შეეწყო მეტოქეს, რადგან ის ცაცია იყო.
● ვინც ძნელად იღვიძებს, ლოგინიდან ადგომა რომ გაუადვილდეს, გაღვიძებამდე ათი წუთით ადრე იოგების სისტემით ლოტოსის პოზა უნდა მიიღოს.
● უგამონაკლისოდ ყველას გასაგონად: „თუ გინდა, რომ ვინმესთან მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნო, ნუ იმეგობრებ იმასთან“.
● სახელმწიფო დაწესებულებაში მომუშავეთათვის: ისწავლეთ ხურდა ფულით გახარება, როცა ხელფასებს იღებთ.
● ბიზნესმენებო, გახსოვდეთ! ბიზნესმენების ცხოვრება ზუსტად იმდენი ღირს, რამდენიც ღირს იმისი დაცვა.
● „ლეხურას“ გუნდის ფეხბურთელებს მთელი ორი თვე ხელფასი დაუგვიანეს. ყველანი ძალიან უხასიათოდ იყვნენ. გულშემატკივართ ეგონათ, რომ ამის გამო „ლეხურა“ აუცილებლად წააგებდა „ყვირილასთან“ სათასო მატჩს, მაგრამ „ლეხურამ“ ორით ნოლი მოიგო. გაირკვა, რომ „ყვირილას“ ფეხბურთელებს ოთხი თვის ხელფასი არ ჰქონდათ აღებული.
● ეს ისეთი სამუშაოა, ყველა ნერვი შეიძლება რომ გაიფუჭო, თვით საჯდომის ნერვიც კი.
● ნეანდერტალელთ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, თუ ასე ღრმად შეიჭრებოდა პრიმიტივიზმი ხელოვნებაში.
● მარაზმი არის ბებრული და შემოქმედებითი. ყველაზე უარესი ის არის, როცა ორივენი ერთდებიან.
● ვისაც ერთხელ მაინც შეუცურია სხვისი დიდების შარავანდედში, მერე გარუჯვაც მოუნდომებია.
● ადვილად საშოვარ ფულზე მუდამ დიდი რიგია.
● ბევრი სათევზაოდ უფრო იმიტომ დადის, რომ ჰაერზე წაიხემსოს.

შეკრიბა
**გურამ წიკლაურმა**

## ალიან-ჩალიანი



### მაშველებმა ხევში ჩავარდნილი ინდოეთის მოქალაქე ამოიყვანეს

— შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს მეექვსე ქვეგანყოფილების მაშველებმა, ჩატარებული სამაშველო ოპერაციის შედეგად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდაში, ხეობაში ჩავარდნილი ინდოეთის მოქალაქე სამევი ვიქარულ ისლამი ჩამოიყვანეს. შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ 112-ში შევიდა შეტყობინება იმის შესახებ, რომ დაბა სტეფანწმინდაში, პარაპლანით ფრენისას, ინდოელი ტურისტი ერთ-ერთ ხეობაში, მთის ფერდობზე ჩამოვარდა და მას სასწრაფოდ ესაჭიროებოდა დახმარება. საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ყაზბეგის სამორიგეო განყოფილების სამაშველო ჯგუფი შეტყობინების მიღებისთანავე გავიდა შემთხვევის ადგილზე. ადგილზე მისვლისას გაირკვა, რომ სამევი ვიქარულ ისლამის ფეხი ჰქონდა მოტეხილი. მაშველებმა მას პირველადი სამედიცინო დახმარება ადგილზევე გაუწიეს და საკაცით ხეობიდან სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ავტომანქანამდე ჩამოიყვანეს. ამ დროისთვის სამევი ვიქარულ ისლამის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

**ინტერპრესი**

## თითქმის ნატურიდან

# მოქეიფე ჰომოები

გონდოსა და ჯონდოს (მეტსახელად ხორთუმას) ღვინო გაუტკბათ და ქეიფს გვიანობამდე შეჰყვნენ.

— ამ ჭიქით, — თქვა გონდომ, — მოდი, ჩვენი წინაპრები გავიხსენოთ, იმათ ისეთი კაცობა და ტრადიციები დაგვიტოვეს, ჩვენგან შენდობას ნამდვილად იმსახურებენ.

— ეგა, ჩემო ძმაო, ადრევე უნდა გეთქვა, — შენიშნა ხორთუმამ.

— ადრე არ ივარგებდა, — თავი იმართლა გონდომ, — ის ზუსტად მაშინ უნდა ვთქვათ, როცა თავში ღვინო გვარიანად გაგვიჯდება.

— მანამდე რა, არ მიუვათ?

— არა, ღვინო რო ჯანში გაგვიჯდება, მერე თურმე საიქიოსთან დალაპარაკება იოლდება.

— ეგ ვიღამ გითხრა?

— თავკვერაანთ გუგაზამ, მაგას ხო იცი, არაფერი შეეშლება.

— ვიცი, მაგრამ, რატომ იოლდებაო?

— ეგრეაო, და რა ვქნა. მობილურის ზარი თურმე იქამდე ვერ წვდება, ერთადერთი ღვინოა, რომელიც სააქაოს საიქიოსთან აკავშირებსო.

— ვაა, — ტაში შემოჰკრა ხორთუმამ, — რა მაგრა უთქვამს, კაცოო?

— მააშ, — გახალისდა გონდო, — ღვინოს შენ ეგრე ნუ უყურებ, თუ მოიწადინა, ისეთ ამბებს დაატრიალებს, შენ სიზმრადაც ვერ წარმოიდგენ.

— ვიცი, ვიცი, — კვერი დაუკრა ხორთუმამ, — მერე ღვინით სავსე ჭიქა შეათამაშა და გულყვითელა „რქაწითელს“ მარცხენა ლოყაზე აკოცა.

— ჰოდა, ამ გახსენებაზე, მოდი, ჩემო ჯონდო, საკუთრივ ღვინის სადღეგრძელო ვთქვათ.

— ვთქვათ, ვთქვათ, — აცმუკდა ხორთუმა.

— გაუმარჯოს ამ კეთილშობილურ ვაზის ნაჟურს, რომელმაც ქართველებს მთელ მსოფლიოში გაგვითქვა სახელი.

— ვენაცვალე ამის მადლს, ეს რომ არა გვქონოდა, ჩვენი ფასი კაპიკი იქნებოდა.

— გეთანხმები და შემდეგ სადღეგრძელოზე გადავდივარ.

— რომელზე? — დაინტერესდა ჯონდო.

— რადგან ღვინო ვადღეგრძელეთ, ჰომოები არ შეიძლება გამოვტოვოთ.

— ვინა, ვინა? — ყურები ცქვიტა ხორთუმამ.

— ჰომოები. შენ რა, ჰომოები არ გაგიგია? მე მაგათ კლიჩკასა ვხმარობ, თორემ ისე გაშლილად ჰომოსექსუალებს ეძახიან.

— მაპატიე, მაგრამ მე მაგათ სადღეგრძელოს ვერ დავლევ, — „ატკაზი“ ქნა ჯონდომ (იგივე ხორთუმამ).

— რატო, ძმაო, რა დაგიშავეს?

— პედერასტები არიან და იმიტომ.

— ეგ შენნაირ გოიმებს ჰგონიათ პედერასტები, თორემ სინამდვილეში კარგად განსწავლულ-ცივილიზებული ჰომოები არიან.

— შენ როგორც გინდა მოუჩლიქე ენა, მე მაგათ სადღეგრძელოს მაინც არ დავლევ.

— ტყიულად ხტუნაობ, ჩემო ხორთუმ, სიმართლე თუ გინდა იცოდე, ჩვენ ყველა ჰომოები ვართ.

— გაგიჟდი, სიმონ, მე ჰომო როგორა ვარ? — დაახეთქა ჭიქა ჯონდომ.

— აბა ვინა ხარ?სუფრაზე გრძელ-გრძელი სადღეგრძელოები, გატრეტილ ძმაკაცებთან ჩახუტება და ლოშნაობა რო გიყვარს, ესე იგი ჰომო ხარ.

— ეგ ვინა თქვა?

— ამას წინათ, სრულიად შემთხვევით, ერთმა ევროპელმა მეცნიერმა აღმოაჩინა.

— მერე, მოგწონს ეგ აღმოჩენა?

— შეუდარებელია. დღემდე ყველას ეგონა, რომ ჰომოების სამშობლო ამერიკა და ევროპა იყო, ახლა კი მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ კაცობრიობის ამ უდიდესი მონაპოვრის აკვანი, ისევე როგორც ღვინისა, პირველად საქართველოში დაირწა.

— გინდა თქვა, რომ ჩვენ და დასავლეთელი ჰომოები ერთიდაიგივენი ვართ?

— არა, ჩვენ მოქეიფე ჰომოები ვართ, ისინი — პედერასტი ჰომოები.

— მერე, ეგ პედერასტი ჰომოები ჩვენთანაც რო მომრავლდნენ, მაგაზე არ გიფიქრია?

— მაგაზე, აგე, პარლამენტარებმა იფიქრეს და კანონი იმიტომ მიიღეს.

— ეგ რა კანონია, ტო, გვაიძულებენ, პედერასტების გვერდით თანასწორუფლებიანად იცხოვრეთ, თანაც კმაყოფილნი იყავით, არ დაჩაგროთ, თორემ დაისჯებითო.

— ჰო, კოჰაბიტაციურ პონტში ვიცხოვრებთ, რა გიკვირს, ნაცები და მეოცნებენი მასე არ მოღვაწეობენ?

— გაგიჟდი, სიმონ, პედერასტებთან საკოჰაბიტაციოდ გავიხადო საქმე?

— სხვანაირად არ გამოვა ცხოვრება, ჩემო ძმაო, დემოკრატია დაგვერღვევა და ევროკავშირისა და ნატოს კარს გამოგვიხურავენ.

— ჰო, მაგრამ, გაევროპელებისა და განატოელების შემდეგ ჩვენებურმა პედერასტებმაც რომ მოთხოვონ ერთმანეთზე დაქორწინება?

— იქორწინონ მერე, ვინ დაუშლით? კანონში, რომელიც ახლახან მივიღეთ, პატარა ცვლილება შევა და პრობლემა აღარავის ექნება.

— აბა, როგორ, ჩვენი პარლამენტარები სულელურ კანონს ხომ არ მიიღებდნენ.

— გონდო, ერთი ეგ გამაგებინე, ჩვენ კი უკვე თავი ქუდში გვაქვს, მაგრამ ამ მხრივ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში როგორი სიტუაციაა?

— ცუდი, ძალიან ცუდი, არც სომხეთში და არც აზერბაიჯანში მსგავსი კანონის მიღება ჯერ თავშიც არ მოსვლიათ.



— არც რუსეთში?

— ეგენი მთლად წყალწაღებულნი არიან. რუსების ამბავი ხომ მოგეხსენება, ჭიქა არაყს დაურტყამენ და ქეიფის დაწყებამდე უკვე გათიშულები არიან. მაგათთან რა ჰომოსექსუალობასა და რა კოჰაბიტაციაზე შეიძლება ლაპარაკი?

**ოტია ჩართოლანი**

ფეხბურთი

# ვითომ ამით გვეშველება?!




**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სააპელაციო კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარე თამარ წერეთელია, გორის „დილას“, ბოლნისის „სიონს“, მარტვილის „მერანსა“ და ფოთის „კოლხეთს“ სადისციპლინო კომიტეტის მიერ დაწესებული სანქციები შეუმსუბუქა.**

მიმდინარე წლის 14 აპრილს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა საფეხბურთო კლუბები: ბოლნისის „სიონი“ 25 ათასი ლარით, გორის „დილა“ და „მერანი“ 23-23 ათასი ლარით, ხოლო რუსთავის „მეტალურგი“ და ფოთის „კოლხეთი“ 20-20 ათასი ლარით დააჯარიმა.

ასეთი სანქციები ხსენებულ კლუბებს სადისციპლინომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამართლიანობის სამსახურის შუამდგომლობის შემდეგ გამოუტანა. ამ შემთხვევაში სამართლიანობის სამსახურმა ანგარიში უეფას თაღლითური ფსონების ამოცნობის სისტემის საფუძველზე მოამზადა. კერძოდ, ეს მოიცავს 2010-2013 წლების პერიოდს. სადისციპლინო კომიტეტს კოდექსის 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე უფლება აქვს, ყოველგვარი გამოძიების გარეშე, ფეხბურთის ფედერაციის სუბიექტები, რომლებიც უეფას რაპორტში მოხვდებიან ორჯერ ან უფრო მეტჯერ, გამოძიების გარეშე დააჯარიმოს.

უეფას რაპორტში „მეტალურგი“ და „კოლხეთი“ მოხვდნენ სამსამჯერ, „დილა“ და „მერანი“ – ოთხ-ოთხჯერ, ხოლო "სიონი" – ხუთჯერ. ხუთივე კლუბმა სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში გაასაჩივრა.

სააპელაციო კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ „დილა“, „სიონი“, „მერანი“ და „კოლხეთი“ 10000-10000 ლარს გადაიხდიან. „მეტალურგის“ შესახებ სააპელაციო კომიტეტი დასკვნას მოგვიანებით დადებს.

**გიორგი შოთაძე**

ლეგიონერი

# შერმადინმა და „ოლიმპიაკოსმა“ ათენელებს მე-2 მატჩიც იოლად მოუგეს

**გიორგი შერმადინის „ოლიმპიაკოსმა“ საბერძნეთის ჩემპიონატის ნახევარფინალურ სერიაში ათენის „პანიონიოსს“ მე-2 მატჩიც იოლად მოუგო და ფინალს ერთ ნაბიჯზე დაუახლოვდა.**

**პირეოსელებმა მე-2 საშინაო შეხვედრაში 84:58 იმარჯვეს და ამისთვის ძალების მობილიზება ნამდვილად არ დასჭირვებიათ. მასპინძელთა თავკაცმა გიორგიოს ბარცოკასმა მოედანზე განაცხადში შეყვანილი 12-ვე კალათბურთელი გაიყვანა და თითოეულს მინიმუმ 11 წუთიც დაუთმო, რაც ხშირად ნამდვილად არ ხდება.**




საქართველოს ნაკრების ცენტრს 13 წუთი ერგო, რა დროშიც გიორგიმ 4 ქულა და 3 მოხსნა მოაგროვა. შერმადინმა ასპროცენტიანი სიზუსტით ისროლა – ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, ერთხელ შეცდა, ამდენივე პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 2-ჯერ დაჯარიმდნენ.

„ოლიმპიაკოსის“ მხრიდან მინიმუმ 2 ქულა ყველა კალათბურთელმა ჩააგდო, 10-ქულიან ზღვარს კი სამი მათგანი გადასცდა: სტრატოს პერპეროღლუ (16), მეტ ლოესკი (14) და ვასილის სპანულისი (12).

ნახევარფინალური სერიის მომდევნო 2 მატჩი ათენში გახლავთ დაგეგმილი, თუმცა, თუკი პირეოსელებმა მესამე თამაშშიც იმარჯვეს, დაპირისპირებას „მშრალზე“ დაასრულებენ.

ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ფინალში მათი მეტოქე მარადიული მტერი ათენის „პანათინაიკოსი“ იქნება, რომელიც სალონიკის პაოკ-ს ასევე 2:0 ამარცხებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

სტუდენტური ლიგა

# ფინალში თსუ და სტუ ითამაშებენ

**ფუტსალში სტუდენტური ჩემპიონატის გამარჯვებული გუნდი 19 მაისს გამოვლინდება.**

**სპორტკომპლექს „არენა-2“-ში გასამართ ფინალურ შეხვედრაში, რომელიც ზეგ 14 საათზე დაიწყება, ჩემპიონის ტიტულისათვის თსუ და სტუ იბრძოლებენ, მე-3 ადგილისათვის კი 13 საათზე ილიას უნივერსიტეტი და სეუ ითამაშებენ.**

მანამდე 12 საათზე დაიწყება მატჩი უმაღლესი ლიგის საგზურისათვის, სადაც ერთმანეთს ბათუმის შოთა რუსთაველისა და სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტების გუნდები შეხვდებიან.

ფუტსალის სტუდენტური ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 12, ხოლო პირველ ლიგაში 16 გუნდი მონაწილეობდა. სტუდენტური ჩემპიონატი საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით მიმდინარეობს.

**კობა კობახიძე**




დიახაც!

# ქართველი მრბოლი ფორმულა 1-ში? რატომაც არა!

**ახალგაზრდა ქართველი მრბოლის ნიკო სურგულაძის კარიერაში გადამწყვეტი ეტაპი დგება – მან უნდა დაიწყოს ის გზა, რომელიც ფ1-ის ჩემპიონ კიმი რაიკონენის მენეჯერმა სტივ რობერტსონმა (მანვე ფ1-სკენ გზა ჯენსონ ბატონსაც გაუკაფა) დაუსახა. პირველი სეზონი უნდა ჩაატაროს ფორმულა „რენო“ 2-ში, რის შემდეგაც უფრო მაღალი დონის ფორმულებში და ბოლოს ფორმულა 1-ში გადასვლის ჯერი დადგება.**






17 წლის ქართველ მრბოლს, ვინც სამხრეთ აფრიკაშია გაზრდილი, აქამდე 11-წლიანი კარიერა აქვს გამოვლილი, რომლის განმავლობაშიც მოტოკროსში და კარტინგში ასპარეზობდა, ახლა კი ღიაბორბლიანი სარბოლი ავტომობილების (როგორებსაც ფორმულებად მოვიხსენიებთ) ჯერი დადგა. ამიერიდან ყველაფერი ფაქტობრივად ნულიდან იწყება, რადგან თუ ეს ნაბიჯი არ გადაიდგა, მერე უკვე გვიან იქნება, ვინაიდან ავტოსპორტი და კონკრეტულად ფორმულა-1 ძალიან გაახალგაზრდავდა – 19 წლის ასაკში ზემოთ ნახსენები გზის დაწყება უკვე წარმოუდგენელია.

ნიკომ წარმატებით გაიარა ფორმულა „რენო“ 2-ის წინასასეზონო ტესტები და უკვე ესპანურ AVF-სთან გააფორმა კონტრაქტი, რომელთან ერთადაც „რენო“ 2-ის ჩრდილოევროპულ სერიაში იტალიის მონცას ტრეკზე იასპარეზა, ხოლო მალე იმავე გუნდის ბოლიდით ბრიტანულ სილვერსტოუნზეც გამოვა. იმისათვის, რომ ეს სეზონი, რომელიც მისთვის გამოცდილების დასაგროვებელია, სრულად გაიაროს, ქართველ მრბოლს ფინანსური მხარდაჭერა ესაჭიროება.

სერიაში მონაწილეობისთვის აუცილებელი თანხის 75 პროცენტი უკვე გადახდილია, რაშიც ნიკოს და მამამისს გიორგი სურგულაძეს უცხოელი პარტნიორები დაეხმარნენ. სხვათა შორის, თანხის დიდი ნაწილი თავად სურგულაძის ოჯახმა გაიღო. დარჩა 25 პროცენტი, რომლის საქართველოში მოძიების შემთხვევაშიც ნიკო ქრთული დროშით იასპარეზებს. სხვათა შორის, გუნდმა და ოჯახმა იმდენი მოახერხეს, რომ „რენო“, რომელიც ჩემპიონატის მთავარი ორგანიზატორია, თანხის განვადებით გადახდაზე დაითანხმეს. ნიკოს მხარდამჭერი გუნდი იმედოვნებს, რომ საქართველოში გამოჩნდება ხუთი ისეთი კომპანია, რომლებიც პერსპექტიულ ქართველ მრბოლს (შესაძლოა, ფ1-ის მომავალ პილოტს), მისი კარიერის ამ მეტად მნიშვნელოვან მომენტში, გვერდში დაუდგებიან და ამ თანხას გადაუხდიან. თვეში 2 500 ევრო ხომ ბევრი კომპანიისთვის მხოლოდ საშუალო ანაზღაურების მქონე მენეჯერის ხელფასია...

არის კიდევ ერთი გამოსავალი – სპორტის სამინისტრო, რომელსაც ამ პრობლემის ერთი ხელის მოსმით მოგვარება შეუძლია. გასაგებია, რომ სამინისტროს შერჩეული აქვს სპორტის პრიორიტეტული სახეობები, რომლებსაც მილიონებს ახარჯავს (ხშირად სასურველი შედეგის გარეშეც), მაგრამ უმჯობესი ხომ არ იქნება პრიორიტეტულად ის სახეობა ჩაითვალოს, რომელშიც მეტი პერსპექტივა გამოჩნდება? ან იქნებ, ახალი პერსპექტივის გაჩენისას, როგორთანაც ამჯერად ავტოსპორტში გვაქვს საქმე, თანხების გადანაწილება მაინც მოხდეს...

წარმოიდგინეთ, რომ ნიკომ შეძლო მიზნის მიღწევა... წარმატება გადამდებია და ამის შემდეგ ქართველ პერსპექტიულ მრბოლებს, როგორებიც ყოველთვის გვყავს, უცხოელი სელექციონერები თავად მიაქცევენ ყურადღებას. საჭიროა ერთი გაელვება, ერთი შანსი და მერე ბევრი ბარიერი უფრო ადვილად დასაძლევი გახდება. ნიკოს რეალური შანსი აქვს ქართული ავტოსპორტის ლოკომოტივად გადაიქცეს, ეს კი უკვე საკმარისი საბაბია იმისათვის, რომ მას ყურადღება ქართველებმაც მიაქციონ, თორემ ჩოგბურთელ ანა ტატიშვილისა არ იყოს, ვარსკვლავებს უცხოეთში დიდი ხანია აფასებენ და ნიკოსაც გამოუჩნდება მფარველი, რომლის ერთადერთი პირობაც მანქანაზე მისი გვარის გასწვრივ, მაგალითად, სამხრეთ აფრიკის დროშის მიხატვას მოითხოვს. ეს კი გულდასაწყვეტი იქნება...

**ბეჟან დოლიძე**

კალათბურთი

# ევროლიგის MVP სერხიო როდრიგესია!

**ევროლიგის 2013-14 წლების სეზონის საუკეთესო კალათბურთელად მადრიდის „რეალის“ მცველი სერხიო როდრიგესი აღიარეს. ეს გადაწყვეტილება ევროპის მასშტაბით ჟურნალისტების და გულშემატკივრების გამოკითხვის შედეგად იქნა მიღებული.**




აღსანიშნავია, რომ ევროლიგის არცერთ მატჩში როდრიგესი სასტარტო ხუთეულში არ გამოჩენილა, თუმცა, საშუალოდ მოგროვებული ქულების (13,5) და პასების (5) მიხედვით „რეალის“ რიგებში საუკეთესო იყო.

ცხადია, სერხიო ევროლიგის სიმბოლურ ხუთეულშიც მოხვდა, რომელიც მის გარდა მადრიდელთა კიდევ ერთმა ლიდერმა რუდი ფერნანდესმა, კიტ ლენგფორდმა („ემპორიო არმანი“), სონი ვიმსმა (ცსკა) და ანტე ტომიჩმა („ბარსელონა“) დააკომპლექტეს.

ლენგფორდმავე მიიღო საუკეთესო მექულისთვის განკუთვნილი ჯილდო, „ამომავალი ვარსკვლავის“ ტიტული სერბული „პარტიზანის“ წევრ ბოგდან ბოგდანოვიჩს ერგო, ხოლო ევროლიგის საუკეთესო მცველად „ოლიმპიაკოსში“ გიორგი შერმადინის თანაგუნდელი ბრაიან დანსტონი დაასახელეს.

დაჯილდოების ცერემონიალი მილანში ევროლიგის ოთხთა ფინალის სტარტის წინ შედგა.

**მანუჩარ გიორგაძე**

ინტერნეტიდან

# ანდრესა ურიკა – ქალი ბობოქარი ვნებით

**ბრაზილიელი მოდელი ანდრესა ურიკა (ყოფილი „მის უკანალი“) ჯერ კიდევ შარშანწინ იძახდა – პორტუგალიელ მობურთალ კრიშტიანუ რონალდუსთან ვნებიანი ღამე მაქვს გატარებული და რონალდუმ სექსის მერე მითხრა: შენნაირი ქალის დამნახავი მთელს დუნიაზე არა ვარო.**

ახლა კი ანდრესა იძახის, რონალდუსთან დაკავშირებით ვიხუმრე, ამჟამად ერთ-ერთ ცნობილ ბრაზილიელ ფეხბურთელს ვხვდები და სულ მალე საჯაროდ გავამხელთ ამ ჩვენი სიყვარულობისა და მტლაშამტლუშის ვნება-ოხვრის აღმძვრელ ამბებსო.



ანდრესა ურიკა ორჯერ უკვე ყოფილა გათხოვილი და მის ქმართა გალერეაში აქამდე სპორტსმენს ჯერ არ გაუჭაჭანია. ეს ეშმაკი გოგონა ისეთი ვინმეა, მესამედ გათხოვებას თუ გადაწყვეტს, ეს ამბავი შეიძლება „სიენენმაც“ კი გადმოსცეს. უყვარს ხმაურიანი ამბები და რა გინდა რომ ქნა?!

**როსტომ რაჭველიშვილი**

◉ გულიდან ამოძახილი

# მართალს ვიტყვი...

* * *

*ნეტა მართლა „შენს სიტყვებს*
*ვარდებივით ეხარა“,*
*ჩვენი ხალხის იმედი*
*წყალში არ ჩაგეყარა.*

* * *

*ჩემი თბილისი, ვერა, მთაწმინდა,*
*ნეტავი მართლა ბადახშად იქცეს,*
*მაგრამ სანაცვლოდ ის კი არ მინდა,*
*დიდ საროსკიპოდ რომ გადაიქცეს.*

* * *

*არასოდეს დღეის მსგავსად*
*არ ვყოფილვართ არეული,*
*ყველა გვყიდის, ყველა გვძარცვავს,*
*შინაური, გარეული.*

* * *

*გაიღვიძეთ, დებო, ძმებო,*
*თუკი სულიც გაგვითელეს,*
*ასე მომსპარ საქართველოს*
*ღმერთიც ველარ გაგვიმთელებს!*

* * *

*საქართველო და უგმირო?*
*ასე უნდო და უპირო?*
*საქართველო და უგონო?*
*ასე უფხო და ულონო?*

* * *

*მარტო ჩარჩი და ვაჭარი?*
*ულირსებო და ლაჩარი?*
*მარტო ქურდი და მეძავი?*
*არ მოვსწრებოდე ნეტავი!*

* * *

*იცით, რატომ ვართ კიდევ ამ დღეში?*
*რატომ ვიქეცით ფარსად?*
*ქართლს რომ ბომბავდნენ,*
*ჩვენს რესტორნებში*
*ტევა არ იყო არსად!*

## არჩევნები

*არჩევნები, არჩევნები,*
*იმედების ნარჩენები,*
*იქნებ ახლა მაინც მივხვდეთ,*
*ვინ სხვისია, ვინ — ჩვენები.*

*უკეთესად ვერ იტყვი*
*მწამს არჩევანის, სწორის,*
*მიტომაც მინდა, გირჩიო.*
*„ორ ბოროტებას შორის“*
*ნაკლები ამოირჩიო.*

* * *

*ის რა კაცია, ვინც ვერ მოტვინა,*
*ალენ დალესის ბილწი დოქტრინა,*
*და რომ უგვანო რუსოფობია*
*როგორც ფაშიზმი, დასაგმობია!*

* * *

*ნუ გწამს ახალი ბატონი,*
*ნუ სდევ მასონთა ბანდასა,*
*„თურაშაულის პატრონი*
*ტყეში დაეძებ პანტასა“.*

## ცოტაც კიდევ და...

*მინდა, იმედით ვუცქერდე მერმისს,*
*მაგრამ გული რომ დადაგულია?*
*დაკარგულია? ვკითხულობ ჩემთვის,*
*და გული მიგრძნობს — დაკარგულია.*

*თუმცა კი სათქმელს ხმამაღლა*
*ვბედავ,*
*მაგრამ ჩაკლული რაღა გულია,*
*აღარც ვკითხულობ, ისედაც ვხედავ,*
*ცოტაც კიდევ და — დაკარგულია.*

* * *

*სირცხვილი იმ ჩვენს მმართველებს,*
*ვინც შეურაცხყო ბელადი,*
*ღმერთო, შეუნდე ქართველებს,*
*ცოდვაში ჩაფლულთ ყელამდი.*

* * *

*აფსუს, წინა საუკუნე,*
*გამარჯვების მაისი,*
*„ღმერთო, თბილისს დაუბრუნე,*
*ძველებური ხალისი“.*

* * *

*მჯერა, სამშობლო კვლავ იდიადებს,*
*რომ დაიბრუნებს ძველ სიდიადეს,*
*რომ დასრულდება ცრემლი და*
*გლოვა,*
*„და ჩვენს ქუჩაზეც ზეიმი მოვა!“*

**გურამ ჭიჭინაძე**
05.05.214.

---

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პიროვნება



**ლილი იოსელიანი**

ცნობილი რეჟისორი, არტისტი, პედაგოგი, მრავალი თაობის აღმზრდელი, რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს აკადემიის აკადემიკოსი.

საქართველოს კულტურის ფონდი გულისტკივილით იუწყება ამაგდარი პიროვნების გარდაცვალებას, თანაუგრძნობს ოჯახის წევრებს, ახლობლებს და მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს.

**მერაბ ბერძენიშვილი**

---

◉ ალიანჩალიანი

## ვირუსული მენინგიტი საშიშროებას ვერ შეგვიქმნის

**ჯანდაცვის** მინისტრი დავით სერგეენკოს განცხადებით, ვირუსული მენინგიტის შემთხვევებთან დაკავშირებით პანიკის საფუძველი არ არსებობს. როგორც სერგეენკომ განაცხადა, აღნიშნულ ვირუსს ოთხწლიანი ციკლურობა ახასიათებს.

— დღეის მდგომარეობით, 57 შემთხვევაა დაფიქსირებული ვირუსული მენინგიტის, რომელიც დადასტურებულად, ლაბორატორიული კვლევით გამოწვეულია ენტეროვირუსით. ამ ტიპის დაავადებას ახასიათებს ოთხწლიანი ციკლურობა. 2006 წელშიც იყო პიკი, 2010-შიც და ახლაც, 24 აპრილიდან დაიწყო. ყველა შემთხვევა, საბედნიეროდ, არის მსუბუქი, ან საშუალო სიმძიმის. მიმდინარეობს ინტენსიური საგანმანათლებლო მუშაობა, თუ რა ზომები უნდა იყოს დაცული ასეთ შემთხვევაში და გარწმუნებთ, რომ პანიკის არანაირი საფუძველი არ არსებობს, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

## ბათუმში საავადმყოფოს მშენებლობა იწყება

**აჭარის** ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნუგზარ სურმანიძე და ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი დავით ბალაძე ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში იმყოფებოდნენ.

მთავრობის წევრები სამედიცინო პერსონალს შეხვდნენ და მათ რესპუბლიკური საავადმყოფოს მშენებლობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

ოფიციალური ინფორმაციით, საავადმყოფოს მშენებლობა 2014 წლის მეორე ნახევარში დაიწყება.

პროექტის პირველადი მონაცემებით, ახალი შენობა 160-საწოლიანი იქნება. პოლიკლინიკური ბლოკი ყოველდღიურად 800 ამბულატორიულ პაციენტზე იქნება გათვლილი. სამედიცინო დაწესებულება მრავალპროფილური იქნება და მას საუნივერსიტეტო კლინიკის ფუნქციაც მიენიჭება, მოემსახურება როგორც მოზრდილ მოსახლეობას, ასევე ბავშვებს. კლინიკა აშენდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, აღიჭურვება უახლესი სამედიცინო აპარატურით.

ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო საუკუნოვანი ისტორიის და ტრადიციების მქონე სამედიცინო დაწესებულებაა. იგი აშენებულია ექიმთა საზოგადოების ინიციატივით.

## „სმარტფინანსიდან“ წინასწარი ინფორმაციით, 6 ათასი ევრო გაიტაცეს

**თბილისში**, ცოტნე დადიანის გამზირზე მდებარე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტფინანსიდან“, წინასწარი ინფორმაციით, 6 ათასი ევრო გაიტაცეს. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, ოფიციალური კომენტარი ჯერ არ გაკეთებულა, თუმცა, ახლომდებარე ობიექტების თანამშრომლები პირად საუბრებში ჰყვებიან, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში შეიარაღებული პირი შევიდა და აფეთქების მუქარით თანხას ითხოვდა. თავდამსხმელმა ტერიტორია, არსებული ინფორმაციით, სამარშრუტო ტაქსით დატოვა.

არსებული ინფორმაციით, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტფინანსი“ დააყაჩაღეს, თუმცა, აღნიშნულ ინფორმაციას ოფიციალურად არავინ ადასტურებს.

**ინტერპრესი**

---

◉ ასეთია ცხოვრება

# ჯიჯი ბუფონი ცოლს დაშორდა



**როგორც იქნა, ბოლო მოეღო ჭორებსა და მითქმა-მოთქმას და იტალიელმა გოლკიპერმა ჯანლუიჯი ბუფონმა განაცხადა, რომ თავის ცოლთან, ჩეხ მოდელ ალიონა სერედოვასთან ოფიციალურად გაიყარა და ამის შემდეგ ბუფონს ამ ქალთან მხოლოდ საერთო შვილები დააკავშირებს.**

ჯიჯიმ ყოფილ ცოლსა და შვილებს თავისი უზარმაზარი ვილა დაუთმო, რომელიც ტურინის ცენტრში მდებარეობს, თავად კი შედარებით მოკრძალებულ სახლში გადავიდა. როგორც ფეხბურთელი ამბობს, იგი ყველანაირად ეცდება, რომ ქონებასთან დაკავშირებით დავა გამოირიცხოს და მისი ოფლით მოგროვილი სახსრები ყოველგვარი სასამართლოს გარეშე გაუნაწილოს ცოლსა და შვილებს.

რაც შეეხება გაყრის მიზეზებს... ჯიჯი ბუფონმა მედიასთან საუბარში ისიც დაადასტურა, რომ ცოლთან განშორების მიზეზი მისი ღალატი იყო. ბუფონი არ ასახელებს იმ ქალის სახელს, რომელთანაც ცოლს ღალატობს, თუმცა, ამბობს, რომ ალიონას არაფერში ადანაშაულებს და ეს გაყრა გარდაუვალი იყო.

**ნატა ნიბლაძე**

---

◉ დაუსწრებელი სამზარეულო

**გაზაფხული უკვე მიილია. ამიტომ დღეს რუბრიკა „ჩვენი კალათა თამარ ჩილვინაძესთან ერთად“ გთავაზობთ ისეთი კერძების მომზადების წესს, რომლებიც წელიწადის ამ დროს შეეფერება.**





### ჩანახი:

**მასალა:**

ბატკნის ხორცი 600 გ.
ბადრიჯანი 2-3 ც.
პამიდორი 3-4 ც.
ტკბილი წიწაკა, წითელი 3ც.
კარტოფილი 4 ც.
ხახვი 2 თავი.
ქინძი.
რეჰანი.
მწვანე მწარე წიწაკა 1 ც.
კარაქი ან დუმა 70-80 გ.
მარილი და პილპილი.

**მომზადების წესი:**

პამიდორს კანი გააცალეთ და მსხვილად დაჭერით. ხორცი დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად, ხახვი კი — ალყა-ალყა. წიწაკა მსხვილად დაჭერით, ბადრიჯანი ნახევარ რგოლებად, იმავე ზომაზე დაჭერით კარტოფილი. ხორცსა და ბოსტნეულს მოაყარეთ მარილი, პილპილი. ინგრედიენტები ხელით კარგად აურიეთ.

ქოთანში მოათავსეთ კარაქი ან დაჭრილი ცხვრის დუმა. შემდეგ შიგ ჩაყარეთ დაჭრილი ინგრედიენტები.

ზემოდან დააწყვეთ დაჭრილი პამიდორი. მოაყარეთ მწვანილი და შედგით ღუმელში მაღალ ტემპერატურაზე 30-40 წუთით, სანამ ხორცი არ მომზადდება.

### მსუბუქი სალათა:

**მასალა:**

450 გრ. მოხარშული კარტოფილი.
6 ც. საშუალო ზომის ბოლოკი.
2 ც კიტრი.
3 ს.კ. ზეითუნის ზეთი.
1 ს.კ. ნიგოზი.
2 ს.კ. ძმარი.
1 ჩ.კ. თაფლი.
მარილი, პილპილი, მწვანე ხახვი.

**მომზადების წესი:**

ზეთი, ძმარი, თაფლი, მარილი, პილპილი ავურიოთ ერთმანეთში და დავასხათ მოხარშულ, რგოლებად დაჭრილ კარტოფილს. დავტოვოთ ასე დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში, რომ კარტოფილი კარგად გაიჟღინთოს მარინადით. შემდეგ შევურიოთ თხელ რგოლებად დაჭრილი ბოლოკი და კიტრი, მოვაყაროთ დაჭრილი ნიგოზი და მწვანე ხახვი.

გემრიელად მიირთვით.



## ჩვენი კარაბადინი

# პარკინსონის დაავადება ქირურგიულად იკურნება

**მოკანკალე დამბლა, რომელსაც მისი პირველაღმომჩენის პარკინსონის სახელი ეწოდა, — ერთ-ერთი ყველაზე ხშირი და ყველაზე მძიმე ნევროლოგიური პათოლოგიაა, უპირატესად ხანდაზმულ ადამიანებს რომ ემუქრება.**

საბედნიეროდ, ამ სენის მკურნალობა ისწავლეს. და საკმაოდ წარმატებითაც. სიტყვას ვაძლევთ ჩვენს ექსპერტს, ექიმ-ნეიროქირურგს, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნევროლოგიის სამეცნიერო ცენტრის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს **ვლადიმირ ტიურნიკოვს**.

### გზანი წამებისა

**დრამატული ისტორია აქვს პარკინსონის დაავადებას. 200 წლის წინათ აღმოჩენილი თავის ტვინის ქერქვეშა სტრუქტურების დაავადებისთვის, რომელიც ავადმყოფის კანკალსა და კიდურების შებორკილობას, სიარულის, მეტყველების, მიმიკის მოშლას იწვევს, დიდი ხნის განმავლობაში არ იცოდნენ, როგორ ემკურნალათ.**



პრობლემის გადაჭრა მოულოდნელი აღმოჩნდა. გასული საუკუნის 50-იან წლებში მოკანკალე დამბლით დაავადებულთა დასახმარებლად მოვიდა... ნეიროქირურგია. გაჩნდა თავის ტვინის ქერქქვეშა სტრუქტურების ეგრეთ წოდებული დესტრუქციული ოპერაციები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ტრემორისა და დაავადების სხვა არასასიამოვნო გამოვლინებათა პათოლოგიური იმპულსების ნაკადის შეწყვეტას.

მაგრამ ოპერაცია ოპერაციაა. და გასული ასწლეულის 60-იან წლებში მას წამლების ალტერნატივა გაუჩნდა — ლ-დოპოშემცველელი პრეპარატები, რომლებმაც ნამდვილი რევოლუცია მოახდინეს კანკალა დამბლის მკურნალობაში. წამლები — სასწაულები არსებითად ამცირებდნენ ტრემორს, შებორკილობას და სხვა არასასიამოვნო სიმპტომებს. მთელი მსოფლიოს ექიმ-ნევროლოგებმა შვებით ამოისუნთქეს: მათი პაციენტებისთვის ეს ნამდვილი ხსნა იყო.

მაგრამ სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა: ბევრ წამალს სერიოზული თანმდევი ეფექტი აღმოაჩნდა, რომლებსაც კიდევ უფრო მეტი პრობლემები აღმოაჩნდათ პაციენტებისთვის, ვიდრე თავად დაავადება იყო. ამ წამლების მიღებიდან 4-5 წლის შემდეგ ბევრ ავადმყოფს გაუჩნდა ჰიპერკინეზები (მოულოდნელად გაჩენილი უმოძრაობა) და სამკურნალო დისკინეზიები — ფართოდ გაშლილი, მოუთოკავი მოძრაობები, იმდენად ძლიერი, რომ ტანჯულები ადგილზე პირდაპირ „ცეკვას“ იწყებდნენ, ან დახტოდნენ კიდეც, აშინებდნენ გარშემომყოფებს, რომლებიც ამ უბედურებს სულით ავადმყოფებად მიიჩნევდნენ.

### შეცდომის უფლების გარეშე

**და მაშინ შუქურა კვლავ გადაიხარა ნეიროქირურგიული ოპერაციების მხარეზე, რომლებიც მთელ მსოფლიოში პარკინსონის დაავადების მკურნალობის ოქროს სტანდარტად ითვლებიან დღემდე. ზემოხსენებულ თავის ტვინის ქერქქვეშა სტრუქტურებზე დესტრუქციული ნეიროქირურგიული ჩარევების გარდა გაჩნდა სასტიმულაციოც, რომლებიც ტვინში სპეციალური ელექტროდების იმპლანტაციაში მდგომარეობს — მას შეუძლია დათრგუნოს პათოლოგიური იმპულსაცია.**

შეცდომა რომ არ დაუშვან გაანგარიშებაში, ერთიც და მეორე ოპერაციაც გაიანგარიშება ვირტუალურად მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის მონაცემების საფუძველზე. როდესაც ზემოქმედების სათანადო წერტილს განსაზღვრავს მილიმეტრამდე სიზუსტით, ნეიროქირურგი ერთი ციცქნა ტრეპანაციიდან (ნახვრეტი თავის ქალაში) რომლის ზომაც 1,5-2 სანტიმეტრია, სპეციალური ხელსაწყოს დახმარებით აწარმოებს გარკვეული ქერქქვეშა სტრუქტურების დანერგვას ან სტიმულაციას.

დასახული მიზნის შესაბამისად ოპერაცია 1-დან 4 საათამდე გრძელდება პაციენტის სრული ცნობიერებით, რომელსაც ადგილობრივი ანესთეზია უკეთდება და რომელთანაც მთელი ოპერაციის პერიოდში ექიმები მუდმივ კავშირში არიან, ადევნებენ თვალ-ყურს, ხომ არ დაერღვა მეტყველება ან მოძრაობის ფუნქციებიო. აქ სამიზნე ხომ ტვინია.

სპეციალისტები ამ ოპერაციებზე დიდ იმედებს ამყარებენ. მით უმეტეს, რომ ისინი სავსებით ხელმისაწვდომია და კეთდება ბევრ დიდ ნევროლოგიურ ცენტრში, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ანდა მთლიანადაც ათავისუფლებენ ცოტახნისწინანდელი კოშმარებისგან აკანკალებულ ავადმყოფებს.

### საჭიროა, ვიცოდეთ

**ბევრ პაციენტს, ვისაც პარკინსონის დაავადება აწუხებს, ხშირად უჩნდება შეკითხვა:** თუ ეგრეთ წოდებული დესტრუქციული ოპერაციები თავის ტვინის ქერქქვეშა სტრუქტურებზე ახდენენ ისეთსავე ეფექტს, როგორსაც მასტიმულირებლები, რომლებიც მოითხოვენ პაციენტისთვის სპეციალური გენერატორების (სტიმულატორების) შესისხლხორცებას და რომლებიც პერიოდულად უნდა ცვალო, უფრო იოლი არ იქნებოდა, უარი გვეთქვა ამ უკანასკნელებზე? სპეციალისტები ამ შეკითხვას ერთმნიშვნელოვნად უპასუხებენ: ორმხრივი დაზიანების, აგრეთვე პარკინსონის დაავადების ეგრეთ წოდებული აკინეტიკურ-რეჰიდული ფორმის დროს (როდესაც არაა კანკალი, არამედ არის მხოლოდ საერთო შებოჭილობა) ელექტროსტიმულაციას გვერდს ვერ აუვლი. თანაც, ავადმყოფების განკარგულებაში ახლა გაჩნდა ახალი თაობის გენერატორები, რომლებიც გვეხმარებიან არა 3-5, არამედ 10 წელიც და შეიძლება მათი დამუხტვა თავად ავადმყოფების მიერ ქსელიდან სპეციალური მოწყობილობის დახმარებით. ერთადერთი შეზღუდვა, რომელიც ავადმყოფს უჩნდება ელექტროსტიმულატორის არსებობით — ესაა აკრძალვა მაგნიტურ ველში (ლითონსაძიებლის ან მაღალი ვოლტის მავთულების ზონაში) ყოფნაზე.

## გვეკითხებიან – ვუპასუხებთ

# ინფარქტი არ იქნება?

**აღმომიჩინეს გულის იშემიური დაავადება. ეს რას ნიშნავს, ჩემი ყველა სისხლძარღვი დაცულია ბალთებით და მალე მექნება ინფარქტი ან ინსულტი?**

**გიორგი, ქობულეთი**

**გვიპასუხებს ექიმი-კარდიოლოგი ანდრო შარაშიძე:**

— მოვლენების ასეთი განვითარება შეიძლება თავიდან აიცილოთ, თუ დაიცავთ ყველა რეკომენდაციას, რაც მკურნალმა ექიმმა მოგცათ. უწინარეს ყოვლისა, ესაა წამლებით ადეკვატური და რეგულარული თერაპია, რომელიც შეიცავს პრეპარატებს ქოლესტერინის (სტატინის) შესამცირებლად, რაც წინააღმდეგობას უწევს თრომბების წარმოქმნას (ანტიკოაგულანტები), აგრეთვე ბეტა-ბლოკატორებს, რომლებიც გულში ბეტა-ადრენორეცეპტორებს ბლოკავენ, რასაც მისი რიტმის ნორმალიზაციასთან და არტერიული წნევის დაწევასთან მივყავართ.

და, რასაკვირველია, კონტროლზე უნდა გქონდეთ ის ფაქტორები, რომლებმაც გულის იშემიურ დაავადებებთან მიგიყვანათ: უნდა დაანებოთ თავი მოწევას, ნორმაში მოიყვანოთ წონა, გქონდეთ თუნდაც მინიმალური ფიზიკური აქტივობა, კერძოდ კი, ყოველდღე იაროთ ფეხით 45 წუთი თქვენთვის კომფორტულ ტემპში.



სხვათა შორის, გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, ყველა ათეროსკლეროტიკულ ბალთას როდი მივყავართ თრომბის წარმოქმნასთან. ყველაფერი დამოკიდებულია საბურავის სიმკვრივეზე, რომელიც აჩერებს მის აგრესიულ ცხიმოვან შემადგენლობას. სწორედ მას, როდესაც სისხლდენაში მოხვდება, მივყავართ თრომბის წარმოქმნასთან. შედეგად კი — ინფარქტთან, როდესაც სისხლის დინების მკვეთრი შეწყვეტის გამო გულის ერთ-ერთი მონაკვეთი ითიშება სისხლის მიმოქცევისგან.

გულის იშემიური დაავადების დროს ათეროსკლეროტიკული დაზიანება ენდოტელიისა, რომელიც სისხლძარღვების შიდა ზედაპირს აფენია, შეიძლება მოხდეს არა მხოლოდ კორონარულ არტერიებში, არამედ სისხლის კალაპოტის სხვა მტკივნეულ ადგილებშიც, რომლებზეც ყველაზე მეტი ჰიდრავლიკური დარტყმა მოდის, რაც გაზრდილი არტერიული წნევის პროვოცირებას იწვევს (ვერცხლის სვეტის 140/90 მილიმეტრი). როგორც წესი, ესაა დიდი სისხლძარღვების პატარებში გადასვლის ადგილები. ასეთებს, გარდა კორონარურებისა, განეკუთვნება ძილისა და მუცლის არტერიების განტოტებანი.

მაგრამ რადგან ეს პროცესი ყველაზე ხშირად მიმდინარეობს უსისტემოდ, ნუ დაივიწყებთ, რეგულარულად ჩააბაროთ ხოლმე სისხლის ბიოქიმიური ანალიზი „ქოლესტერინზე“ (ლიპიდური პროფილი). არტერიის მდგომარეობის შემოწმებისა და დაზიანებული სისხლძარღვის აღმოჩენისათვის იყენებენ კვლევის რენტგენოლოგიურ მეთოდებს, ულტრაბგერით გამოკვლევებს, კომპიუტერულ ტომოგრაფიას.

## კადრი



რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 29 9-62-77; 599 32-85-76.

## ცინცხალი ანეკდოტები

— **სად**ა აქვს ქალს ბრმანაწლავი? — ეკითხებიან გინეკოლოგს.

— პირდაპირ და მარცხნივ.

* * *

**გემი** იძირება. ყველა ხტება განწირული ლაინერიდან და ებღაუჭება ნებისმიერ საგანსა თუ ნივთს, რითაც წყალზე იტივტივებს. ქალი მიცურდა თავის ქმართან, რომელიც კარს ჩაბღაუჭებია. კარზე დიდი ასოებით აწერია „ბარი“. ცოლმა ჩაჰყვირა:

— ნაძირალავ! ვიცოდი, სადაც უნდა მეძებნე!



* * *

**ორი** მომავალი ინჟინერი საუბრობს:

— იცი, როგორ უნდა დაიჭირო ჩაქუჩი, რათა თითზე არ დაირტყა?

— მაინც როგორ?

— ორივე ხელით...

* * *

**მივიდა** მოხუცი კაცი ჯადოქართან და სთხოვა, ორმოცი წლის წინანდელი ჯადო მომიხსენიო.

— კარგი, მაგრამ იქნებ მითხრათ, როგორ ჟღერს ის ჯადო?

— „გაცხადებთ ცოლ-ქმრად!“...

* * *

— **როგორც** მითხრეს, თურმე ჩემი სალაროდან ფულს იპარავთ! — მკაცრი ტონით ეუბნება შეფი მოლარეს.

— მაშ როგორ, — უკვირს მოლარეს, — გსურთ, რომ თქვენთან ვიმუშაო და ფული სხვაგან მოვიპარო?

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24